

# გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №1(87) 2015 წ. 1-15 იანვარი ფასი 50 თეთრი

## გილოცავთ შობა-ახალ წელს!

*რომან ზუკაკიშვილი*

### საახალწლო

**ლამაზი დილა გათენდა, ფიფქმა მოხატა ოცნება,**
**ჭალას შამბეს ზღაპარი შაშვებმა – ზამთრის მგოსნებმა,**
**ვარსკვლავებისგან დაკოცნილს, ნაძვები თვალებს ახელენ,**
**სიო წყაროსთან ბაასობს: დადგაო წელი ახალი.**
**დილა კი არა, ხატია, მზის სანთლით გაბრწყინებული,**
**გული მაშინ ძგერს, ერთურთი თუ იმედებად გვეგულვის.**
**აბა, სიცივე რას გვიზამს, სულს ახალ წიგნად გადავშლით,**
**გულთბილი მეკვლე შემოვა ყველა ეზოში და სახლში.**
**დალოცვილ იყოს უფლისგან ეს ცა, ეს ქუჩა, ეს სახლი,**
**ყოველი გოჯი მიწისა, ტყე, მინდორი თუ ვენახი.**
**დალოცვილ იყოს ამქვეყნად: ბავშვი, კაცი და ქალია,**
**ღვინით კი არა, სუყველა დღეს სიხარულით მთვრალია.**
**ხალხო, გისურვებ სიმართლეს, ბედელს და მარანს ხვავრიელს,**
**ჯანმრთელობა და მშვიდობა გვქონოდეს, მრავალჟამიერ!**

## შობა

„**მაცხოვრის** შობის“ უადრესი ნიმუშები მიგნებულია იტალიისა და გალიის ტერიტორიაზე ნაპოვნ ქვის სარკოფაგებსა და სპილოს ძვლის რელიეფებზე. მათზე გამოსახულია მხოლოდ ბაგაში მწოლიარე შეგრაგნილი ჩვილი და მის გვერდით – ხარი და სახედარი, რომლებიც, წმინდა გრიგოლ ნოსელის განმარტებით, კანონით შებოჭილ იუდეველებს და კერპთაყვანისმცემლობის ტვირთით დამძიმებულ წარმართებს განასახიერებენ. „შობის“ იკონოგრაფიის ამგვარი მოკლე ვერსიები, როგორც ჩანს, ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქრისტიანოში. ასე, მაგალითად, საქართველოში შემონახული უადრესი ნიმუში „შობის“ გამოსახულებისა და საცხენისის სტელაზე (VIIს), სწორედ ამ მოკლე ვერსიას ეფუძნება. ბაგაში გამოსახული ჩვილი ძირითადია ამ სცენისა, რომელსაც დროთა განმავლობაში მრავალრიცხოვანი გამოსახულება დაემატა.

## ნაძვის ხის ტრადიცია



**დრუიდები** ხეებს აღმერთებდნენ და ზუსტად იცოდნენ, რომელ ხეში რისი ღვთაება ბუდობს. მაგალითად, მარადმწვანე ნაძვში მზის ღმერთი სახლობს. საერთოდაც მარადმწვანე ხეები არასოდეს კვდებიან და მარადიული სიცოცხლის ღმერთების ბინაა. ღვთაებამ კი გაბრაზება იცის, ამიტომ ის უნდა მოთაფლო, კარგ გუნებაზე დააყენო და შენს მხარეზე გადმოიყვანო. ამიტომაც ზამთრის მზებუდობისას, 21 დეკემბერს, იწყებოდა ხეების მორთვა ხილით, ქურუმების გამომცხვარი ტკბილეულით, ოქროს და ვერცხლის ბრჭყვიალა ძაფებით. ეგებ ხის ღმერთები კარგ გუნებაზე დამდგარიყვნენ და შემდეგი წელი მოსავლიანი, გოგო-ბიჭებიანი, მზიანი და ბედნიერი ყოფილიყო. ნაძვის ხის ირგვლივ ხელიხელჩაკიდებული სიარული, სიმღერა და უამრავი ლამპრის ანთება კი გაზაფხულის ფერიის გასაღვიძებლად მოიგონეს. ძალიან ბნელი დღეები გვიდგას და ეგებ თვალები გაახილოო. ხოლო სანამ ეს მძინარე მზეთუნახავი გაიღვიძებდა, იქნებ ყინვის ღმერთიც მომლბარიყო და ყინვები შეერბილებინა.

შემდეგ დრუიდებთან რომაელები მივიდნენ, მერე ვიკინგებმა შეუსეირნეს, აურიეს ცხოვრება, თუმცა ხეების მორთვა-მოთაფლვის ტრადიცია არსად გამქრალა, ქრისტიანობაში მშვიდად გადმობარგდა და აი, ეს ლამაზი ამბავი გვიამბო:

ამბობენ, შობის ღამეს ყველა ხე ახალშობილი ქრისტეს შესაგებებლად გაემართა. პირველები, რა თქმა უნდა, ბეთლემის პალმები მივიდნენ, ახლოს ცხოვრობდნენ. მათ ფეხდაფეხ კვიპაროსები, ტირიფები, მუხის ხეები მიჰყვნენ და ბოლოს მთელი სამყაროს ხეები გარს შემოერტყა ახალშობილის ბაგას. და, აი, ამ დროს, რადგანაც საშინლად გრძელი გზა ჰქონდა გასავლელი, პატარა ნაძვის ხე მოვარდა გულამომჯდარი – ძალიან დამაგვიანდაო და მორიდებით მიუდგა დანარჩენებს, ყრმა იესომ კი უმალ შეამჩნია მისი მსგავსი პატარა ნაძვის ხე, სხვებში გამოარჩია და გაუღიმა – მერე რა, რომ დაგაგვიანდა, ეგ არაფერიო. ამასობაში ციდან ვარსკვლავების ცვენა დაიწყო, ერთი მოზრდილი ვარსკვლავი ნაძვის ხის კენწეროზე წამოსკუპდა და იქ დარჩა. ასე დაიწყო ნაზოლარა ნაძვის ხის მოგზაურობა დროსა და სივრცეში.

პირველი ნაძვის ხე მარტინ ლუთერმა დაიდგა სახლში. წირვიდან გვიან ბრუნდებოდა, ცაში საშობაოდ აკიაფებული ვარსკვლავი დაინახა და იესოს რჩეული ნაძვი გაახსენდაო. ამიტომაც ხე სახლში წაუღია და სანთლებით მოურთავს. XVII საუკუნის მეორე ნახევარში ჰანოვერში, რატუშის მოედანზე, ერთი კი არა, უკვე რამდენიმე პატარა ნაძვი დაუდგამთ და გაუჩახჩახებიათ. XIX საუკუნეში კი საშობაო ნაძვის ხის დღესასწაულის გამართვა თვით ევროპის ქალაქების ბურგომისტრებს უთავებიათ. 1819 წელს პირველი ევროპული ნაძვის ხე უნგრეთში დაუდგამთ, 1820 წელს – პრაღაში, 1829 წელს სკანდინავიის ქვეყნებში, ხოლო 1852 წელს პეტერბურგში ეკატერინეს სახელობის სადგურში იმპერიის პირველი ნაძვის ხე მოურთავთ საგანგებოდ.

## რას გვიქადის „ლურჯი თხის“ წელი?



**დინჯად** გაიჯირითა ცხენზე ამხედრებულმა 2014-მა წელმა და ლურჯ თხაზე შემომჯდარი 2015 წელი შემოიპარა ფეიერვერკების ფონზე.

ყველას აინტერესებს, რა მოგვიტანა, რა აქვს გულში ჩადებული და რას იზამს 365 დღე-ღამის განმავლობაში. მართალია, ეს მხოლოდ ღმერთმა იცის, მაგრამ თხა რისი თხა იქნება, თავისი არ ეცადოს?!

ვარსკვლავთმრიცხველებმა ბევრი ჩხრიკეს და აღმოაჩინეს, რომ თურმე ნოსტრადამუსს საოცარი რაღაცეები უწინასწარმეტყველებია დამდეგი წლისათვის. არ დაიჯერებთ და თურმე ადამიანები ცხოველებისა და ფრინველების ენას გაიგებენ და მათთან იბაასებენ, მეცნიერები სიცოცხლის გახანგრძლივების წამალს მიაგნებენ და ადამიანის ცხოვრებას 200 წლამდე გაახანგრძლივებენო და ბოლოს – მიცვალებულები აღდგებიანო. ეს უკანასკნელი რადგან მეორედ მოსვლის ჟამსაა ნაწინასწარმეტყველები, უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორედ მოსვლის ჟამიც დამდგარა...

რაც შეეხება სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას, ეს მათთვისაა სანატრელი, ვისაც ნეტარი ცხოვრება აქვს, თორემ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი არა მგონია ამ ამბავმა გაახაროს – ამდენ სადარდელსა და უბედურებაში 200 წელს რა გაიყვანს?!

არ ვიცი, მართლა იწინასწარმეტყველა ეს ყველაფერი ნოსტრადამუსმა (ზოგი ამბობს ამ წლისათვის არაფერი უწინასწარმეტყველიაო, მე კი მისი ტრაქტატების ჩხრეკის არც თავი მაქვს და არც ცოდნა, რომ რამე გავუგო), მაგრამ თავი იმიტომ გვაბია მხრებზე და ღმერთმა მიტომ მოგვცა გონება, ცოტა გავიაზროთ და თავი მარტო „ორი აგურის შემოკვრის“ დროს არ გაგვახსენდეს. გახსენებისას კი მაინცდამაინც კარგს ვერაფერს აღმოვაჩენთ.

თუ აღმოსავლურ კალენდარს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ თხა უკვე ორჯერ ყოფილა ჩვენი „მეკვლე“ – 1991 და 2003 წლებში. ვისაც ძალიან მოკლე მახსოვრობა არა აქვს, უცებ მოაგონდება როგორი იყო ჩვენთვის ორივე ეს წელი. ამ წლებს საერთო რაც აქვთ – ესაა სახელმწიფო გადატრიალებები.

1991 წლის დეკემბერში დაიწყო თბილისის ომი. კიტოვანის გვარდიამ და ჯაბას „მხედრიონმა“ პარალმენტის შენობაში გამაგრებული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გააძევეს და ქვეყანა ხანგრძლივ შინაომში ჩაითრიეს, რომელიც წლების განმავლობაში გაგრძელდა და რომლის შედეგებსაც დღესაც „ვიმკით“. იმავე წელს გამწვავდა ცხინვალის კონფლიქტი და სათავე დაედო ამ ტერიტორიების დაკარგვას.

არც 2003 წელი იყო მშვიდი – ყველას გვემახსოვრება კიდევ ერთი რევოლუცია – ამჯერად „ვარდებისად“ წოდებული. ის, რა თქმა უნდა, კარგად დაამახსოვრდებოდათ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, მაგრამ რევოლუცია რევოლუციაა და თუმცა ის გარკვეულ ცვლილებებს გულისხმობს, მაინც ძალადობასთან ასოცირდება, ძალადობა კი სასურველი ვერასოდეს იქნება. ძალადობით მოსული ხელისუფლების გემო ორივე შემთხვევაში ჩვენმა ქვეყანამ კარგად გაიგო და იმედია მესამედ აღარ მოგვიწევს მისი „დაგემოვნება“.

კარგიც ბევრი აქვს თხის წელს, თუნდაც ის რად ღირს, რომ ცვლილებებზეა ორიენტირებული. ჰოდა, იმედი ვიქონიოთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება გაითვალისწინებს როგორც წარსულის, ისე საკუთარ შეცდომებს და ისე მართავს ქვეყანას, ხალხი სულ მათ ქებასა და დალოცვაში იყოს და არა გინებასა და წყევლაში. მაშინ ხომ მათ დამხობაზეც არავინ იფიქრებს.

რადგან ცვლილებებზე მიდგა საქმე, იქნებ სასიკეთო ცვლილებები შეეხოს ჩვენს დაკარგულ ტერიტორიებს და ჩვენი ძირძველი მიწები დედასამშობლოს წიაღში დაბრუნდეს, იქნებ ჩვენი დიდი მეზობელი რუსეთიც „გაკეთილშობილდეს“, როგორც უწინასწარმეტყველებენ ვარსკვლავთმრიცხველები და ჩვენთან მტრობას მეგობრობა ამჯობინოს...

ჩვენ კი ვისურვოთ, რომ გვქონდეს მშვიდობა, იმრავლოს დოვლათმა, ხვავმა და ბარაქამ, განმტკიცდეს ადამიანებს შორის სიყვარული, სიკეთემ გაიმარჯვოს ბოროტებაზე...

*ზურაბ აბულაშვილი*

№1(87) 2015 წელი, 1-15 იანვარი

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგებელი **გიორგი გზირიშვილი,** საკრებულოს თავჯდომარე **ფრიდონ ბურდული,** გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **ჯაბა რევაზიშვილი** საგარეჯოს სათნოების სახლების ბენეფიციარებს, ლტოლვილებს და სოციალურად დაუცველ ოჯახებს (ფოტოები № 1;2;3;4.) ესტუმრნენ, დამდეგი ახალი წელი მიულოცეს და საახალწლო ნობათი გადასცეს.


№1

№2












# ახალი წლის წინა დღეებში

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის ორგანიზებით საახალწლო კონცერტი ქალაქის ცენტრში ჩატარდა. კონცერტში ადგილობრივი შემსრულებლები და თბილისიდან მოწვეული ესტრადის ვარსკვლავები იღებდნენ მონაწილეობას.

გამგებელმა **გიორგი გზირიშვილმა** ახალი 2015 წელი მიულოცა საგარეჯოელებს და წარმატებული სპორტსმენები დააჯილდოვა.

ღონისძიება ფეიერვერკით დასრულდა.


№3



№4






ლია კოხტაშვილის ფოტოები

# შობა

## გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის ეზოში

**გიორგიწმინდის** ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მრევლი დაბადების დღეს ულოცავს ამავე ტაძრის მოძღვარს მღვდელ **გიორგი პავლოვს**, უსურვებს ჯანმრთელობას და ღვთისა და მრევლის სამსახურში კვლავაც მისეული უღალატობითა და შემართებით დგომას.







# ხელისუფლება, ხალხი, დემოკრატია

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

# შეფასდა განვლილი წლის ბიუჯეტი და დამტკიცდა ახალი

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის ბოლო სხდომას ამავე საკრებულოს თავმჯდომარე **ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. მან დეპუტატებს და სხდომის მონაწილეებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო.

სხდომის დღის წესრიგის პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე საკითხებზე მოხსენებები გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა* კახაბერ მარგებაძემ.** მოხსენების მოსმენისა და განხილვის შემდეგ ცვლილებები შევიდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ნოემბრის №54, 55, 56, 58 და 25 ივლისის №38 დადგენილებაში.

ასევე, დეპუტატებმა მოისმინეს დღის წესრიგის №2 საკითხი (მომხსენებელი ***საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე* ალექსანდრე მეზვრიშვილი**) და ცვლილებები იქნა შეტანილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №51 დადგენილებაში.

სხდომაზე მოსმენილ იქნა საკითხი „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა* თინათინ ძაბილაშვილმა**. მომხსენებელმა სანამ მომავალი წლის ბიუჯეტს შეეხებოდა, მოკლედ მიმოიხილა 2014 წლის ბიუჯეტი. როგორც ქალბატონმა თინათინმა აღნიშნა, საკუთარმა შემოსავლებმა 2014 წლის 23 დეკემბრისათვის 7 545200 ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 91.5 პროცენტია..

გადასახადებიდან შემოსული იყო 2353500 ლარი, წლიური გეგმის 114.5 პროცენტი.

გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) შემოსული იყო 120.7 ათასი ლარი, წლიური გეგმის 37.3%.

გადასახადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე შემოსული იყო 1888,3 ათასი ლარი, წლიური გეგმის 118%, მათ შორის ფიზიკური პირებიდან 1119 ათასი ლარი, წლიური გეგმის 104.8%, იურიდიული პირებიდან 769,3 ათასი, წლიური გეგმის 145,7%.

გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე შემოსული იყო 247.3 ათასი ლარი, წლიური გეგმის 110.1%, მათ შორის ფიზიკური პირებიდან წლიური გეგმის 101.6% და იურიდიული პირებიდან 113.9%.

2014 წელს მიღებულია გრანტები, საიდანაც გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებულია 3229.9 ლარი, გეგმის 95.8%, მიზნობრივი ტრანსფერი 210 ათასი ლარი, რომელიც 100 პროცენტითაა მიღებული, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან მიღებულია 2894.4 ათასი ლარი (75%), „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის განსახორციელებლად კი მიღებულია 756 ათასი ლარი (74,5%);

პროცენტებიდან შემოსულია 50.4 ათასი ლარი, წლიური გეგმის 112%.

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 554,2 ათასი ლარი, წლიური გეგმის 102,3%;

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახედებიდან მიღებულია 113,4 ათასი ლარი, წლიური გეგმის 95.8%.

ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულია 787,3 ათასი ლარი, წლიური გეგმის 103%.

მომხსენებელი, ასევე, შეეხო გადასახადებს – წლიური ასიგნებანი ათვისებულია 84%-ით (10462,4 ლარი), მათ შორის ადგილობრივი სახსრებით დაფინანსებულია 91% და შეადგენს 7054 ათას ლარს;

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება შეადგენს 2219.9 ათას ლარს, წლიური გეგმის 92%-ს;

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების დაფინანსება ათვისებულია 91%-ით (406,6 ათასი ლარი);

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია ათვისებულია 74%-ით (4249,9 ათასი ლარი), მათ შორის საკუთარი სახსრებით დაფინანსებული 82,3%-ით (1077.9 ათსი ლარი); აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციასა და რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 1125.7 ათასი ლარი, წლიური გეგმის 74%, საკუთარი სახსრებით კი – 45,3 ათასი ლარი, წლიური გეგმის 58%;

დასუფთავების ღონისძიებებზე 2014 წელს გაიხარჯა 420.8 ათასი ლარი, წლიური გეგმის 89.2%;

ხევების, კალაპოტების გამაგრება-გაწმენდის ღონისძიებებზე გაიხარჯა 25.8 ათასი ლარი, წლიური გეგმის 86%;

წყლის სისტემების რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციაზე და მოვლა-შენახვაზე დაიხარჯა 1644.6 ათასი ლარი, წლიური გეგმის 65%, მათ შორის საკუთარი სახსრებით 220.2 ათასი ლარი (86%);

გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციას მოხმარდა 210.4 ათასი ლარი, წლიური გეგმის 95%;

მუნიციპალიტეტში სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა40.2 ათასი ლარი (93,1%);

სკვერებისა და ბაღების მოწყობაზე – 11.2 ათასი ლარი;

კეთილმოწყობის ღონისძიებებზე დაიხარჯა 141,7 ათასი ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტით – 133,2 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების აღდგენას 483,5 ათასი ლარი მოხმარდა (75.3%);

განათლების სფეროზე 1907.4 ათასი ლარი გაიხარჯა, წლიური გეგმის 95%, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 1671.5 ათასი ლარი (98%);

კულტურისა და სპორტის ღონისძიებებზე დაიხარჯა 1046.1 ათასი ლარი – წლიური გეგმის 93.1%;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები დაფინანსდა 632.5 ათასი ლარით, რაც წლიური გეგმის 82,7%-ს შეადგენს. მათ შორის ჯანდაცვა – 75,7 ათასი ლარით (85%); სოციალურად დაუცველთა უფასო კვება – 156,4 ათასი ლარით, წლიური გეგმის 93%; უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა 333.9 ათასი ლარით (წლიური გეგმის 93%);

რაც შეეხება 2015 წლის ბიუჯეტს, დეპუტატებმა იმსჯელეს წარმოდგენილი მოხსენების ირგვლივ და კენჭისყრით 30 დეპუტატიდან 26-მა დეპუტატმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ბიუჯეტს, რომლის მოცულობა 7476.5 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა. მათ შორის სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან აღებული გრანტი – 3812.0 ათასი ლარი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 3602 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 210.0 ათასი ლარი.

გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7476.5 ათასი ლარით.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხები და განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

სხდომას ესწრებოდნენ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი* გიორგი გზირიშვილი**, ***მისი მოადგილეები* გიორგი რევაზიშვილი და დავით ივანიშვილი.**

# სააგენტოს ფუნქციონირებისათვის

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის რიგგარეშე სხდომას ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. მან სხდომის მონაწილეთ მიულოცა შობა-ახალი წელი და გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთადერთ საკითხს ითვალისწინებდა – „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი წესით სარგებლობის უფლებით (თხოვება) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ (მომხს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი **კახაბერ მარგებაძე,** თანამომხსენებელი ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკოპნომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ივანე ბეჟიაშვილი**).

დეპუტატებმა მოსმენილ საკითხზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის IV, V, VI პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის საფუძველზე თანხმობა მიეცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს გიორგი გზირიშვილს (2015 წლის 8 იანვრის №02/1 წერილის შესაბამისად) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პირდაპირი წესით სარგებლობის უფლებით (თხოვება) გადასცეს სსიპ „საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, სააგენტოს ფუნქციონირების განხორციელების მიზნით.

## სოფლის მეურნეობა – 2014

# წლის აგრარული პოლიტიკა

**გასული** საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც საბჭოთა რეჟიმი მოიშალა, ქვეყნის აგრარულ სექტორში შეუქცევადი, რღვევადი პროცესები დაიწყო. მთელი საქართველოს მასშტაბით მოიშალა აგრარული ინფრასტრუქტურა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების საკუთრებაში არსებული მიწების დიდი ნაწილი პრივატიზების შედეგად გადავიდა სოფლის მოსახლეობის კერძო საკუთრებაში.

პრივატიზაციის დროს დაშვებულმა სერიოზულმა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულმა ხარვეზებმა სოფლის მეურნეობის მწარმოებლობის მკვეთრ დაცემას შეუწყო ხელი. აღმოჩნდა, რომ მიწის განკერძოების შედეგად სოფლის მეურნეობამ ეკონომიკური საქმიანობის როლი დაკარგა და სოფლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის მხოლოდ თავის რჩენის საშუალებად იქცა. მასიური სავარგულების უდიდესი ნაწილი დაქუცმაცდა მრავალ მცირე ნაკვეთად. გარდა ამისა, მოიშალა მთელი ის ინფრასტრუქტურა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით უზრუნველყოფდა როგორც საჭირო აგროტექნიკური ბაზის მდგრადობას სექტორისათვის საჭირო სასუქებით, სელექციური სარგავ-სათესლე მასალებით და შხამ-ქიმიკატებით მომარაგებას, ასევე, აგრარულ სექტორში ეფექტურ რეალიზაციას. საერთო ჯამში მიღებული სიტუაციით გლეხი საკუთარი ნაკვეთისა და წარმოქმნილ ეკონომიკურ კრიზისის წინაშე მარტო დარჩა.

საერთოდ, აგრარულ სფეროში რეფორმების გატარება ნებისმიერი ხელისუფლებისათვის პოლიტიკურად არამომგებიანია და იგი ნებისმიერ განვითარებად ქვეყანაში დღესაც მტკივნეულად და შეფერხებებით ხორციელდება. სწორედ ამიტომ ერიდებოდა ყოფილი ხელისუფლება სოფლად რეფორმების გატარებას.

ახალი ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ შეუშინდა აგრარულ სფეროში არსებულ სიძნელეებს, გაბედულად შეუდგა სოფლის მეურნეობაში რეფორმების გატარებას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომელიც სოფლად სიღარიბის დაძლევასა და ფერმერთა ძლიერი ფენის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, სადაც დიდ პრობლემას ქმნის პატარა ფრაგმენტებად დაშლილი მიწის ფართობები. ეს ართულებს და აძვირებს სასოფლო-სამეურნეო მიწების დამუშავებას, ასევე თითქმის შეუძლებელს ხდის ახალი ტექნიკისა და თანამედროვე ტექნიკის დანერგვის შესაძლებლობას. სწორედ ამ პრობლემის მოგვარებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს აგროკოოპერაციამ.

2013 წლის 12 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, რომლის თანახმადაც კოოპერატივი ეს არის კოოპერატივის სტატუსით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

კოოპერატივების განვითარებისათვის უკვე შემუშავებულია მთელი რიგი ხელშემწყობი ღონისძიებები, განსაზღვრულია სასოფლო კოოპერატივებში დასაქმებისათვის უფასო სასწავლო გადასამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამები:

**2017 წლის 1 იანვრამდე არ იბეგრება:**

ა. კოოპერატივის მოგება

ბ. მიღებული გრანტები და საწევრო შენატანები

გ. კოოპერატივის წევრის მიერ კოოპერატივიდან მიღებული დივიდენდები

დ. კოოპერატივის საკუთრებაში არსებული (მიწის გარდა) და მასზე ლიზინგით გადაცემული ქონება.

ე. კოოპერატივის მიერ კოოპერატივის წევრებზე გაწეული მომსახურეობები.

**კოოპერატივების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს:**

1. სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას;
2. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.
3. მიწების გამსხვილებას, კონსოლიდაცას.
4. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

**ზოგადად მიღებული პრაქტიკით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შესაძლებელია იყოს შემდეგი ტიპის:**

1) საწარმო კოოპერატივი, რომელიც ძირითადად მოტივირებულია წევრების მიერ წარმოებული პროდუქციის გადამუშავებასა და სასაქონლო სახის მიცემაზე;

2) მანქანა-დანადგარების კოოპერატივი, რომელიც წევრ ფერმერებს საშუალებას აძლევს საჭიროების დროს მიიღოს ტექნიკის ან სხვა სახის მომსახურება ყველაზე ხელსაყრელ ფასად.

3) წარმოების საშუალებებით მომარაგების კოოპერატივი, რომელიც უზრუნველყოფს ფერმერებს გარანტირებული იმ არახარისხიანი წარმოების საშუალებათა და შხამ-ქიმიკატებით მომარაგებას ყველაზე ოპტიმალურ ფასად;

4) მარკეტინგული კოოპერატივი ხელს უწყობს ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქციის საბაზრო სეგმენტთან დაკავშირებას;

5) ფედერალური კავშირები არის კოოპერატივების შედარებით განვითარებული და სრულყოფილი ფორმა, რომელიც მოიცავს ყველა ზემოთჩამოთვლილ მომსახურებას, დაეხმარება საჭიროების მიხედვით ნებისმიერი დარგის მეურნეობის რენტაბელობისა და მწარმოებლობის ასამაღლებლად.

კოოპერატივების საერთაშორისო ალიანსის მონაცემებით დღეისათვის მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 1 მილიარდი სხვადასხვა სახის კოოპერატივებშია გაერთიანებული, რომელთა ბაზაზე შექმნილია დაახლოებით 100 000 000 სამუშაო ადგილი.

კოოპერატივების თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყნად ითვლება ფინეთი, სადაც მოსახლეობის 27%-ია გაერთიანებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში და აწარმოებს ქვეყანაში წარმოებული რძის 97%-ს, ხორცის 80%-ს და კვერცხის 45%-ს.

საქართველოში დღეის მდგომარეობით რეგისტრირებულია და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მინიჭებული აქვს 402 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს. აქედან კახეთის რეგიონში – 33-ს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მინიჭებული აქვს 7 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს. მათი წევრთა რაოდენობა კი 73 კაცს შეადგენს. ამჟამად საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის განვითარების სააგენტოში სტატუსის მისანიჭებლად წარდგენილია კიდევ 1 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი („ნექტარი“).

ყველა რეგისტრირებული და სტატუსმინიჭებული კოოპერატივი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ ჩართულია სხვადასხვა პროგრამებში გრანტებისა და დახმარებების მოპოვების მიზნით.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს „კაკაბეთი-2014“ (ხელმძღვანელი პაატა ჩხეიძე) გადაეცა მოტობლოკი 800 ლარად, რომლის რეალური ფასი შეადგენს 2400 ევროს.

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის მიზნით გარკვეულ საქმიანობას ეწევა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია. კონკრეტულად 1. „ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარებისათვის საქართველოში (ENPARD-საქართველო), ფერმერულ კოოპერატივების გაძლიერება. საქართველოს სასოფლო მუნიციპალიტეტებში პროგრამას ახორციელებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორბსი“ სამ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად. ჩვენს მუნიციპალიტეტში ეს არის საქართველოს ბიზნესსაკონსულტაციო ორგანიზაციათა ასოციაცია „ABCO“. პროგრამა ხორციელდება 2014 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე. 2. USAID REAP პროგრამა „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი“, რომელიც დახმარებას უწევს ისეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, სადაც 50%-ზე მეტი წილის მფლობელი და ერთ-ერთი მენეჯერი ქალია. 3. საქართველოს ფერმერ ქალთა ასოციაცია.

აღნიშნულ პროგრამებში შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით მონაწილეობენ ჩვენს მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებული და სტატუსმინიჭებული კოოპერატივები.

დღეის მდგომარეობით გრანტების მოპოვებისა და დახმარების მიღებასთან ყველაზე ახლოს არიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „პალდოველი-2014“ (გამგეობის თავმჯდომარე ლეილა ციგროშვილი) და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „იმედი“ (დირექტორი მაიზერ გუჯეჯიანი).

*გივი მათიაშვილი,*
***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი***

№1(87) 2015 წელი, 1-15 იანვარი

# „როგორც ისწავლი სამყაროს ხედვას, შენი ცხოვრებაც ისე იქნება, გულს ნუ გაიტეხ, გწამდეს უფლისა და ყველაფერი კარგად იქნება.“

*ილია II*

## დღესასწაულები:

12 **აპრილი - ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი**

## ათორმეტთაგან მოძრავნი:

5 აპრილი - **ბზობა** - იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში

21 მაისი - **ამაღლება** იესო ქრისტესი

31 მაისი - **სულთმოფენობა** - სულიწმიდის გარდამოსვლა

## ათორმეტთაგან უძრავნი:

7 იანვარი - **ქრისტეშობა** - ხორციელად შობა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

19 იანვარი - **განცხადება** - იესო ქრისტეს ნათლისღება

15 თებერვალი - **მირქმა** - იესო ქრისტეს მიგებება

7 აპრილი - **ხარება** - ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხარება

19 აგვისტო - **ფერისცვალება** - იესო ქრისტეს ფერისცვალება

28 აგვისტო - **მარიამობა** - ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინება

21 სექტემბერი - **ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობა**

27 სექტემბერი - **ჯვართამაღლება** - მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვრისა

4 დეკემბერი - **ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანება**

## დიდი დღესასწაულები:

14 იანვარი - **წინადაცვეთა** უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ხსენება წმ. ბასილი დიდისა

27 იანვარი და 1 ივნისი - წმ. დედისა ჩვენისა მოციქულთა სწორისა **ნინო** ქართველთა განმანათლებელისა

6 მაისი და 23 ნოემბერი – **გიორგობა**;

12 მაისი და 13 დეკემბერი – ხსენება **მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა**

22 მაისი და 19 დეკემბერი – **ნიკოლოზობა**

1 ივნისი - **სულიწმიდის დღე, სამებობა**

7 ივლისი - **წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა**

12 ივლისი - **წმ. თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი**

13 ივლისი - **სვეტიცხოვლობა** (ტაძრის დღესასწაული)

11 სექტემბერი - **თავისკვეთა წმ. იოანე ნათლისმცემლისა** (მარხვა)

14 ოქტომბერი - **მცხეთობა - სვეტიცხოვლობა,** დღესასწაული კვართისა საუფლოისა და სვეტისა მირონმდინარისა; ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საფარველი;

## გარდამავალი დღესასწაულები:

4 ივნისი (ამაღლების შემდეგი ოთხშაბათი) - **ღირსი დოდო გარეჯელის ხსენება**

5 ივნისი (ამაღლების შემდეგი ხუთშაბათი) - **ღირსი დავით გარეჯელის ხსენება**

15 ივნისი (სულთმოფენობის შემდეგი კვირიაკე) - **ყოველთა წმიდათა ხსენება**



**წმინდა ონოფრე მაჭუტაძე** (მოღვაწეობდა 1690-1736 წლებში იყო დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარი) – საგარეჯოს და დავით გარეჯის მონასტრების ხელახლა აღმშენებელი (მის მიერაა აშენებული საგარეჯოს პეტრე-პავლეს ეკლესია 1712 წელს)

## საეკლესიო სამახსოვრო დღეები:

4 იანვარი - ს**რულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II დაბადების დღე**

25 მარტი - **საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე**

2 აგვისტო - **ხსენება წმ. ილია მართლისა;** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ანგელოზის დღე

25 დეკემბერი - **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღსაყდრების (ინტრონიზაციის) დღე**

## მარხვები:

**დიდი მარხვა** - 3 მარტი - 19 აპრილი

**პეტრე-პავლობის მარხვა** - 16 ივნისი -11 ივლისი

**მარიამობის მარხვა** - 14 აგვისტო - 27 აგვისტო

**ქრისტეშობის მარხვა** - 28 ნოემბერი - 6 იანვარი

## ერთდღიანი მარხვები:

ყოველი შვიდეულის **ოთხშაბათი** და **პარასკევი**, გარდა ხსნილისა

**ნათლისღების წინა დღე** - 18 იანვარი

**წმ. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღე** - 11 სექტემბერი

**ჯვართამაღლება** - 27 სექტემბერი

## მიცვალებულთა განსაკუთრებული მოხსენიების დღეები

14 თებერვალი – ხორციელი შაბათი

7 მარტი – დიდმარხვის მეორე შაბათი

14 მარტი – დიდმარხვის მესამე შაბათი

21 მარტი – დიდმარხვის მეოთხე შაბათი

21 აპრილი – თომას კვირის სამშაბათი

30 მაისი – სულთმოფენობის წინა შაბათი

7 ნოემბერი – დიმიტრის შაბათი

□ – მიცვალებულთა ხსენება

○ (ცისფერი) – ყველიერი

○ (შავი) – მარხვა

○ (სქელი ვარდისფერი) – ბრწყინვალე შვიდეული

○ (თხელი ვარდისფერი) – მსგეფსი

# 2015

### იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარასკევი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კვირა | 4 | 11 | 18 | 25 | |

### თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 2 | 9 | 16 | 23 |
| სამშაბათი | | 3 | 10 | 17 | 24 |
| ოთხშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 |
| ხუთშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| პარასკევი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| შაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| კვირა | 1 | 8 | 15 | 22 | |

### მარტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამშაბათი | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ოთხშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარასკევი | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვირა | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

### აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარასკევი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| შაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვირა | 5 | 12 | 19 | 26 | |

### მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 |
| სამშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ოთხშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხუთშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პარასკევი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კვირა | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |

### ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| სამშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ოთხშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ხუთშაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პარასკევი | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შაბათი | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კვირა | 7 | 14 | 21 | 28 | |

### ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| სამშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ოთხშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხუთშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პარასკევი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| შაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კვირა | 5 | 12 | 19 | 26 | |

### აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| სამშაბათი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ოთხშაბათი | 5 | 12 | 19 | 26 | |
| ხუთშაბათი | 6 | 13 | 20 | 27 | |
| პარასკევი | 7 | 14 | 21 | 28 | |
| შაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| კვირა | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |

### სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | |
| პარასკევი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბათი | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვირა | 6 | 13 | 20 | 27 | |

### ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 |
| სამშაბათი | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ოთხშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხუთშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პარასკევი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კვირა | 4 | 11 | 18 | 25 | |

### ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| სამშაბათი | | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ოთხშაბათი | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხუთშაბათი | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პარასკევი | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კვირა | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

### დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | | 7 | 14 | 21 | 28 |
| სამშაბათი | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ოთხშაბათი | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხუთშაბათი | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| პარასკევი | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შაბათი | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კვირა | 6 | 13 | 20 | 27 | |

# წლის სოფლის რჩეული



**ნ**უთუ ოქრო ყველა ოქრო არ არის,
**ი**ყო კაცი, ეს ადვილი არ არის,
**კ**აცობა ეს ზეციური მადლია,
**ო**ღონდ ღმერთი უნდა გყავდეს ნათლია.
**ე**ქიმობით სახელი გაგითქვია
**ქ**ველობაშიც წილები დაგიდვია,
**ი**ხარებდე, რომ ახარო მრავალი,
**მ**ადლსა თესავ მაცხოვრის გზით მავალი.
**ს**ულ კეთილი მოგცეს ღმერთმა სამკალი.

**1945 წლის** 11 მაისს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებით თავბრუდახვეული მანაველი გიუაშვილების გვარში კიდევ ერთი სასიხარულო დღე გათენდა – ქვეყანას მოევლინა გვარისა და სოფლის მომავალი იმედი და მეოხი **ნიკო გიუაშვილი,** რომელსაც განგებამ ხალხის ჯანმრთელობაზე მზრუნველი ექიმის ოქროს ხელებთან ერთად, ქართველი კაცისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება და რაც ყველაზე დიდი წყალობაა – ნამუსის ქუდი დაანათლა.

გამარჯვების საზეიმო დღეებში დაბადებულს გამარჯვება და წარმატებები თითქოს თავიდანვე დაებედა, თუმცა ამისათვის თვითონაც არ დაუკლია შრომა და გარჯა. მანავის საშუალო სკოლის მოსწავლეობისას საარაკოდ ჰქონდათ გამხდარი მისი სწავლის სიყვარული და ბეჯითობა, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ მაშინდელი შვიდწლედის ფრიადებზე დამთავრების შემდეგ თბილისის IV სამედიცინო სასწავლებელში განაგრძო სწავლა და მას შემდგომ ერთი წუთითაც არ გადაუხვევია არჩეული გზიდან. სკოლაში ბეჯითმა და გამორჩეულმა ეს სასწავლებელიც წარჩინებით დაამთავრა და ახლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე გადაინაცვლა, რომელიც 1969 წელს კვლავ წარჩინებით – წითელ დიპლომზე დაამთავრა. წარჩინებული სტუდენტსა და დიპლომირებულ ექიმს უმუშევრად ვინ დატოვებდა და დამწყები თერაპევტი სამუშაოდ კაკაბეთის საუბნო საავადმყოფოში გაამწესეს. იმ დღიდან უკვე 45 წელზე მეტი გავიდა და ვინ მოთვლის რამდენ გაჭირვებულ ადამიანს დაუბრუნა და აჩუქა ჯანმრთელობა და სიცოცხლე ხელ და გულმადლიანმა პროფესიონალმა, რამდენი უძილო ღამე გაატარა ავადმყოფის სასთუმალთან მათ ჯანმრთელობაზე მზრუნველმა თუ სიკვდილთან შერკინებულმა და გამარჯვებულმა. ამიტომაც უყვართ და აფასებენ, გაჭირვებაში მუდამ ეიმედებათ ნიკო ექიმი მანაველებს და არა მარტო მათ. და არის კიდევ ერთი დიდი რამ, რითაც ბატონი ნიკო სხვა თანამოსაქმეთაგან გამოირჩევა, უანგარო და სიკეთით სავსე გულით, რომელიც მუდამ მზადაა დახმარების ხელი გაუწოდოს ძნელბედობაში მყოფ თანასოფლელებსა თუ თანამოქალაქეებს.

რამდენი ადამიანისგან გვსმენია და ახლაც მოისმენთ ნიკო ექიმის მისამართით თქმულ სამადლობელ სიტყვებს, ხშირად გასამრჯელოდ მისაცემი ფული პაციენტისთვის უკან დაუბრუნებია, წამლები იყიდე, ან ოჯახს მოახმარე რაიმეშიო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არაფერია იმაში, რომ მადლიერმა მანაველებმა დიდი ნდობა გამოუცხადეს თავის რჩეულ და საიმედო მკურნალს გასული წლის 15 ივნისის არჩევნებში და მუნიცაპალიტეტის საკრებულოში თავიანთი ინტერესების დაცვა მიანდეს. ალბათ ჩვენი მკითხველისათვის გასაკვირი არც ის იქნება, თუ რატომ მოვიწვიეთ ჩვენი გაზეთის ამ საახალწლო ნომერში სასაუბროდ წლის წარმატებული ექიმი და ადამიანი.

***– ბატონო ნიკო, ალბათ არავისთვის სადაო არ არის ის, რომ ადამიანს ყველაფერი ზეციდან ენიჭება, მაგრამ იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, თუ ადამიანმაც არ გაანძრია თავი და ხელი, ისე არაფერი გამოვა. რამდენადაც ვიცი, დალხენილი ცხოვრება თქვენ პატარაობაში მაინცდამაინც არ გქონიათ, მაგრამ დასახული მიზნისაკენ დაუოკებელი სწრაფვით, სიბეჯითით და მცდელობით დღეს ერთ-ერთი წარმატებული ადამიანი ბრძანდებით. საიდან იღებს სათავეს თქვენი ეს თვისებები?***

– ყველაფერი ეს ალბათ ჩემი გვარიდან და გენებიდან მომდევს. შორი ექსკურსი რომ არ გამომივიდეს, ჩემი დიდი პაპის მაგალითს მოგიყვანთ. ამ სრულიად უწიგნურმა და გაუნათლებელმა, მაგრამ 6 გამრჯე შვილისა და მეუღლის პატრონმა იმდენი იშრომა და შეიძლო, რომ საქართველოს გასაბჭოებამდე შეძლო საფრანგეთიდან გამოეწერა და შეეძინა საქართველოში მაშინ იშვიათობად ქცეული პურის სამკალი და სალეწი მანქანა. მერე არ იკითხავთ, როგორ ახმარდნენ სოფელს, გლეხობას ამ ფასდაუდებელ მანქანას?! მათ სახალხოდ ჰქონდათ გამოცხადებული, რომ პირველ რიგში ქვრივ-ობლებსა და გაჭირვებულებს მოემსახურებოდნენ ყოველგვარი მინდისა და გადასახადების გარეშე, მერე კი დანარჩენ მოსახლეობას. ალბათ მათ უნდა ვუმადლოდე ყველა იმ თვისებასა და სიკეთეს, რაც დღესდღეობით ჩემთვის ასე ფასეული და ნიშანდობლივია.

***– კაკაბეთის საუბნო საავადმყოფოში მუშაობის შემდეგ თქვენ სამუშაოდ თბილისში გადახვედით, თუმცა ერთი დღითაც არ გაგიწყვეტიათ კავშირი მანავთან და მანაველებთან. მაშინ დედაქალაქში მგზავრობა შედარებით გაიოლებული იყო და თუ სოფელში ვერ მოახერხებდნენ თქვენთან შეხვედრას, თბილისში გაკითხავდნენ და თქვენს სასახელო საქმეებზე საუბრით დატვირთული ბრუნდებოდნენ სოფელში. თუ შეიძლება ცოტა რამ თბილისში მოღვაწეობის შესახებ?***

– კაკაბეთის საუბნო საავადმყოფოში მუშაობის 4 წლის შემდეგ სწავლა გავაგრძელე ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკურ ორდინატურაში პულმონოლოგიის განხრით, რომლის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი ამავე ინსტიტუტის კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგედ. 1994-2000 წლებში ვმუშაობდი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიის განყოფილების გამგედ, პირველი ოპერატიული ბრიგადის სამედიცინო სამსახურის უფროსად. მაქვს სამედიცინო სამსახურის კაპიტნის წოდება. ამჟამად ვმუშაობ ექიმ კონსულტანტად საგარეჯოს „ავერსის“ აფთიაქში.

***– თქვენი შვილებიდან უფროსი ნინო თქვენს კვალს გაჰყვა და პროფესიად ექიმობა აირჩია. ვაჟი გიორგი კი მონაწილეობდა აფხაზეთის ომში. ისე, რომ ოჯახისა და შვილების მხრიდანაც საამაყო ბევრი რამ გაქვთ.***

– კი, ორი შვილისა და სამი შვილიშვილის პაპა ბედს არც ამ მხრივ ვემდური. ჩემი მეუღლე სპეციალობით ბიოლოგი ამჟამად დიასახლისია. შვილებიდან ნინო პროფესიით ექიმი მუშაობს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დაავადებათა ეროვნულ ცენტრში მრჩევლად. ვაჟი – გიორგი, განათლებით ისტორიკოსი და აფხაზეთის ომის ვეტერანი ამჟამად მუშაობს სადში.

***– ბ-ნო ნიკო, თქვენი ოჯახიდან და საქმიანობიდან გამომდინარე სასიხარულო და საამაყო ბევრი რამ გაქვთ. თუ ამას დავუმატებთ იმას, რომ მანაველებმა თითქმის ერთხმად აგირჩიეს მუნიციპალიტეტის საკრებულოში თავიანთ დეპუტატად, უნდა ითქვას, რომ მართლაც წლის წარმატებული და ბედნიერი ადამიანი ბრძანდებით, თუმცა ხალხის ეს ნდობა კიდევ უფრო მეტს გავალებთ. ხელს ხომ არ უშლის ერთმანეთს ექიმის პროფესია და სოფლის დეპუტატობა? თუ შეიძლება ცოტა რამ მუნიციპალიტეტის საკრებულოში თქვენი მოღვაწეობის შესახებ.***

– ერთი ან მეორე პროფესია რომ რამენაირად ხელს უშლიდეს ერთმანეთს, გარწმუნებთ, მე ამ ტვირთს არ შევეჭიდებოდი. რაც შეეხება საკრებულოში ჩემს საქმიანობას, ვარ საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი (თავმჯდომარეა მევლუდ დუჩიძე). შესაძლებლობიდან გამომდინარე, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ რამენაირად ყოფა შევუმსუბუქოთ ძნელბედობაში ჩავარდნილ ჩვენს თანამოქალაქეებს. მიმდინარე წელს ჩვენ დახმარება გავუწიეთ ზოგიერთი სოფლის გაჭირვებულ ადამიანებს, მაგრამ ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, როცა საკუთარი თვალით უყურებ ხალხის თავზე ჩამოსანგრევად გამზადებულ სახლ-კარს და ამ დროს ვერაფერს აკეთებ მათ დასახმარებლად. ასეთი სახლები და ადამიანები კი ერთი და ორი არაა რაიონში, მათ შორის მანავში. ამ წლიდან მნიშვნელოვანი ცვლილებები იგეგმება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და იქნებ წელს მაინც შევძლოთ ასეთი ადამიანების დახმარება. ბევრი რამ არის გასაკეთებელი სოციალური სამართლიანობის აღდგენის კუთხით. ასე, რომ საქმე და საკეთებელი ბევრია და რადგან ჩვენ ამ პოსტებზე ვართ, უნდა ყველაფერი გავაკეთოთ ხალხის ნდობის გასამართლებლად.

***– თქვენი პირადი თვისებებიდან გამომდინარე, მჯერა, რომ საამისოდ მცდელობას არ დაიშურებთ, ახლა კი იმის შესახებ, თუ რას უსურვებდით შობა-ახალ წელს მანაველებს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას?***

– პირველ რიგში ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს სულიერ და ეკონომიკურ სფეროში, ქვეყნის გამთლიანებას, სოფლის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას, წინსვლას, სოფლის მეურნეობის აღორძინებას.

***– სიხარული და ბედნიერება, კეთილი სამკალი ნუ მოაკლოს უფალმა მადლმოსილ ექიმს.***

*გივი დაბახიშვილი*

## წლის სტუმარი

# გემის კაპიტანი

## წლის სტუმარი



**2014** წლის 10 დეკემბერი ერთ-ერთ ულამაზეს დღედ ჩაიწერება ჩვენი რაიონის ისტორიაში. რაიონის მოსახლეობა ახალგაზრდულ ცენტრში შეიკრიბა მსოფლიოს კაპიტანთა ათეულის წარმომადგენელთან, სოფელ პატარძეულის მკვიდრ კაპიტან გიორგი უნაფქოშვილთან შესახვედრად. მეც მათ რიცხვში ვიყავი. ძალიან მაინტერესებდა მალე დამენახა კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება ვაჟკაცურად ებრძვის ოკეანის ტალღებს.

და, აი, საღამოც დაიწყო. დარბაზს ლამაზი ქართული ხმები მოეფინა. საპატიო სტუმარს ქალთა ანსამბლი „ჩინარი“ და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ბერიკაცები“ მიესალმნენ. კაპიტან გიორგის ბავშვობა გაიხსენეს მისმა მასწავლებლებმა, მეგობრებმა, თანასოფლელებმა. ყველა თბილად იხსენებდა და თანაც ამბობდნენ, რომ ბავშვობაში გიორგი ძალიან ცელქი ბავშვი იყო, თუმცა ზღვისკენ გული მაშინვე მიუწევდაო. საინტერესო ბიოგრაფია მოვისმინეთ – გმირობით, სიყვარულითა და ქველმოქმედებით აღსავსე. „ზღვის ლომი“, თურმე ასე უწოდებენ ბატონ გიორგის, რომელიც მსოფლიო კაპიტანთა ათეულში შედის. დინჯი, თმაშევერცხლილი და ტკბილმოუბარი კაპიტანი გვიყვებოდა თავის ზღვისა და ოკეანისმიერ ცხოვრებაზე. მე კი მინდოდა მისი ყველა სიტყვა დამემახსოვრებინა. დარბაზი სულგანაბული უსმენდა გემის კაპინტანს. თავად კი ისე შთამბეჭდავად საუბრობდა, რომ თითქოს მეც მასთან ერთად ვიყავი გემბანზე, გადავსერე ზღვები, ოკეანეები, მასთან ერთად შუა ოკეანეში ვმასპინძლობდი გადამფრენ ჩიტუნებს, ვხვდებოდი მხიარულ დელფინებს, ვაკვირდებოდი ზვიგენებს და ვესალმებოდი ვეშაპს... ამაყობდა ყველა მისი ვაჟკაცური თავგადასავლებით და ზღვაში გატარებული ცხოვრებით. ასევე ამაღლებული განწყობით დავტოვე მეც ეს ლამაზი საღამო.

სურვილი დამებადა – მასთან შეხვედრა უფრო ფართომასშტაბიანი იყოს, ბევრი ადამიანი დაესწროს, რომ ბევრი საგარეჯოელი გაიზარდოს მასავით ზღვისა და ოკეანის ტალღების მპყრობელი, ჩვენი რაიონის სასახელო და საამაყო შვილი.

მადლობა პატარძეულის საკლუბო მუშაობის სპეციალისტს თინათინ ბერძენიშვილს ასეთი საინტერესო საღამოს მოწყობისათვის.

*ლიკა მელაშვილი,*
***საგარეჯოს I საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლე.***

**პატარძეული**, გარე კახეთის ერთ–ერთი ულამაზესი სოფელი, გორაკებზე შეფენილი მოსახლეობით.

უწყლო, ხრიოკი ადგილი. ნიჭიერი, გამრჯე, ვაჟკაცური სულის, შეუპოვარი ბუნების მქონე ადამიანებით.

ოდითგან სოფელი ძლიერ უწყლობას განიცდიდა, მოსახლეობას შორი მანძილიდან უხდებოდა წყლის ზიდვა. მშრომელი კაცი დღედაღამ ცას შეჰყურებდა ეგებ ნამი გამოემეტებინა და წლის მოსავალი გადაერჩინა.

ნაწვიმარზე ცელქი გოგო–ბიჭები ორღობეებში გაჩენილ გუბეებისკენ გარბიან, მღვრიე წყალში ჯერ ცალ ფეხს ჩაჰყოფენ, მერე შუაგულისკენ მიიწევენ, ფეხებს აჭყაპუნებენ, იწუწებიან.

3-4 წლის ბიჭუნას, პატარა, მაგრამ ძლიერ ხელებში ნაფოტებისგან გაკეთებული გემი უჭირავს. სახე ანთებული, მეოცნებე თვალებით გემს უშვებს გუბეში და დიდხანს–დიდხანს აცურავებს ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდე.

ორ–სამ დღეში გუბე შრება. ბიჭი კვლავ წვიმის მოლოდინშია. ხის პატარა ნაჭრებისგან აწყობს ისევ ახალ–ახალ გემებს და ასე გრძელდება დაუსრულებლად... იზრდებოდა ბიჭი და მასთან ერთად ოცნება ზღვაზე, გემებზე, შორეულ ნაოსნობაზე. მომდევნო წლებში არა ერთხელ უთქვამს სკოლის მეგობრებისთვის, რომ აუცილებლად მიაღწევდა მიზანს, აისრულებდა ოცნებას და გახდებოდა „ზღვის ლომი“.

სკოლის დამთავრებისთანავე გადაწყვიტა ოცნება სინამდვილედ ექცია და ბათუმის საზღვაო სასწავლებელში ჩაებარებინა, თუმცა დედა ძალიან წინააღმდეგი იყო. ვერაფრით წარმოედგინა უწყლო, ხრიოკ სოფელში გაზრდილს, რომელსაც ზღვა თვალითაც არ ენახა, როგორ შეძლებდა მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო სამსახურის (მოვალეობის) შესრულებას. როდესაც სამხედრო კომისარიატში მივიდნენ საბუთების წასაღებად, დედამ კომისარი გააფრთხილა არ მიეცა საბუთები „ავადმყოფია... ტუბერკულიოზი აქვს გადატანილიო!“...



კომისარმა არჩევანი მოუწონა, გზა დაულოცა და უთხრა „ვაჟკაცურ საქმეს შედგომიხარ, აბა, შენ იციო.“

კომკავშირის რაიკომში მისულს, აღრიცხვიდან მოსახსნელად, როდესაც ქ–ნ ზაირა ივანიაშვილმა შეხედა და გაიგო მისი გადაწყვეტილების შესახებ, ყველა თანამშრომელს დაუძახა – „მოდით ნახეთ, ბიჭი, რომელიც საზღვაო სასწავლებელში მიდისო“.

სოფელმა, მეგობრებმა, მეზობლემა იმედიანად, დიდი სიყვარულით გააცილეს, გზა დაულოცეს და წარმატებები უსურვეს. თუმცა ამ დროისთვის პატარძეულს ჰყავდა საზღვაო ნაოსნობის ფლოტის კონტრ–ადმირალი, კაცი ლეგენდა, სევასტოპოლთან (სამამულო ომში) ბრძოლის გმირი, მიხეილ ჭინჭარაძე. მისი გმირული ცხოვრების ერთ-ერთ ეპიზოდს მიუძღნა როდიონ ქორქ-

*დასასრული მე-7 გვერდზე*



## ქართული გენის, ვაჟკაცობის გამობრწყინება

# პატარძეულელი გოლიათი – გივი ონაშვილი

**გივი ონაშვილი** უფლისაგან ერთდროულად არის დაჯილდოებული საოცარი ფიზიკური და სულიერი თვისებებით – დევგმირის ღონით, რაინდობით, გარეგნული მოხდენილობით, ტანადობით, სილამაზით, ნიჭით, ღირსების განსაკუთრებული გრძნობითა და უზადო ვაჟკაცობით; ყველა იმ ღირსებით არის შემკული, რითაც ქართველებს თავი მოგვწონს და გვეამაყება. ჩვენ გვყოლია და გვყავს კარგი ფალავნები, გამორჩეული, საუკუნის ფალავნები – გივი იყო და არის მათ შორის ერთ – ერთი საუკეთესო მაგალითი, იგი ამასთან გამორჩეულია თავისი პიროვნული თვისებებით, სიკეთითა და ავკარგიანობით, პირდაპირობითა და სამართლიანობით, სიქველითა და სიდარბაისლით, ერთი სიტყვით იგი არის ქართული გენის, ვაჟკაცობის გამობრწყინება – ქართული ძიუდოს სკოლის მსოფლიო მასშტაბის უბადლო წარმომადგენელი.

**ლევან თედიაშვილი** – *მსოფლიოს 5 – გზის ჩემპიონი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი:*

– ბუნებრივად დაბადებულ დევგმირ მოჭიდავეს გივი ონაშვილს, მის დამსახურებას ქართველი ერისა და ქვეყნის წინაშე რეკომენდაციები არ სჭირდება, რადგანაც თვითონ არის ცოცხალი განსახიერება, ლეგენდა – ყოველივე საუკეთესო, სანაქებო, მისაბაძი თვისებების, საქმეების, რითაც ქართველები ვამაყობთ, იგი ამასთან ერთად, სანიმუშო გამგრძელებელია სახელოვანი გვარის, რომლებმაც ჩვენი სამშობლო დიდების შარავანდედით შემოსეს.

**ანზორ ზურაბაული** – მსოფლიოს 5 – გზის ჩემპიონი,(სამბო – ვეტერანები), საქართველოს ფალავანი:

– იმ სასახელო მამულიშვილთა შორის, რომლებიც აღუზარდა გარეჯის მიწამ,საგარეჯომ და პატარძეულმა მსოფლიოს, საქართველოს – გივი ონაშვილს ერთ – ერთი გამორჩეული საპატიო ადგილი უკავია. იგი მსოოფლიო ჭიდაობის გიგანტების არსენ მეკოკიშვილის, ლევან თედიაშვილის საგმირო საქმეების ღირსეული გამგრძელებელია.

**ცნობისათვის**: გივი ივანეს ძე ონაშვილის წინაპრები ძირძველი პატარძეულელები არიან. მცირე რიცხოვნობით ონაშვილები ცხოვრობენ ონის რაიონში და ვაზისუბანში. მამა ივანე ( ვანო ) იყო დიდი სამამულო ომის ინვალიდი, შრომისმოყვარე ადამიანი, დედა მარო გიუნაშვილი – დიასახლისი.ორი და – უფროსი და გულნარა აწ გარდაცვლილია; მეორე და – ნელი თავისი ოჯახით ცხოვრობს თბილისში.

***– ბ-ნო გივი, გვარში თუ იყო ჭიდაობის ტრადიციები?***

– ბიძაჩემი არჩილ ონაშვილი იყო ქართული ჭიდაობის უბადლო ოსტატი, არაჩვეულებრივი ღონის პატრონი, საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში. მას დამარცხებული ჰყავდა ცნობილი ფალავნები ზალიკო ჩიქვილაძე და ვალერიან ბათლიძე. იგი სახელგანთქმულ გარეჯელ მოჭიდავეებთან მიხა ქურხულთან და შალვა გზირიშვილთან ერთად ქართული ჭიდაობის ღირსეული წარმომადგენელია.

***– ვინ გაზიარათ ჭიდაობის საიდუმლოებას? რატომ აირჩიეთ ჭიდაობის ახლადშემოსული უცნობი სახეობა ძიუდო და არა თავისუფალი ჭიდაობა და სამბო?***

– ალბათ ჩემი ბუნებრივი ფიზიკური მონაცემების გამო ( ორ მეტრამდე სიმაღლე, 130 კგ წონა ), ჯერ კიდევ როცა პატარა ვიყავი პატარძეულის საშუალო სკოლის მე – 9 თუ 10 – ე კლასის მოსწავლე, ცნობილი პატარძეულელი მოჭიდავის მურთაზ ელერდაშვილის რჩევით წამიყვანეს ქ. ცხინვალში საქართველოს პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში, სადაც მიუხედავად გამოუცდელობისა და მცირე ასაკისა, შედარებით კარგად გამოვედი, რითაც მივიქციე ჭიდაობის სპეციალისტების ყურადღება. პატარძეულის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე საქართველოს სასოფლო – სამეურნეო ინსტიტუტში ( 1965 – 1970 წ.წ.), სადაც შევხვდი საქართველოში იაპონური ჭიდაობა – ძიუდოს ფუძემდებელს, ცნობილ მოჭიდავესა და მწვრთნელს მაჩხაანელ ბიძინა მაზიაშვილს, რომლის ხელმძღვანელობითაც ვეზიარე ჩვენთვის " ახალ ხილს " – ძიუდოს. რატომ ძიუდოს?

ჭიდაობის იაპონურმა ეროვნულმა სახეობამ, იაპონელი პედაგოგის და მეცნიერის, პროფესორ ძიგარო კანოს მიერ შექმნილმა ძიუდომ საქართველოში შემოსვლისთანავე ( გასული საუკუნის 50 – 60 წლები ), ფართო გავრცელება ჰპოვა. ეს სახეობა თვალში მომივიდა, რადგან იგი მოითხოვს ვაჟკაცობას, ნებისყოფას, შემართებას. ამასთან, აქ ქართული ჭიდაობის მსგავსი უამრავი მოძრაობებია და ქართველებმა ძიუდოს " პირველმა მერცხლებმა ", როგორც კი ჭაშნიკი გაუსინჯეს ამ "უცხო ხილს " , მაშინვე აალაპარაკეს მსოფლიო, ჯერ ახმეტელმა ფარნაოზ ჩიკვილაძემ ისახელა თავი მსოფლიოს მასშტაბით, ხოლო შემდეგ გარეჯელმა ფალავანმა ანზორ კიკნაძემ და ახმეტელმა, ჩემთვის ესოდენ ავტორიტეტულმა და სამაგალითო მოჭიდავემ ანზორ ქიბროწაშვილმა პირველებმა მოიპოვეს ევროპის ჩემპიონების საპატიო ტიტულები. ისინი იყვნენ ძიუდოს პირველი თაობის წარმომადგენლები. ჩვენ მათმა წარმატებებმა სტიმული მოგვცა და შევეცადეთ ვყოფილიყავით მათი ღირსეული მემკვიდრეები.

1968 წელს ქ. ბაქოში ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობა სპორტულ საზოგადოებებს შორის, სადაც გივი გამოდიოდა საკავშირო სპორტულ საზოგადოება " კოლმეურნე " – ს სახელით, აქ წარმატებით გამოსვლის შემდეგ საბჭოთა კავშირის ძიუდოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ანდრეევმა მოიწონა გივის გამოსვლა და მიიწვია მოსკოვში შეკრებაზე, სადაც უნდა შერჩეულიყვნენ ბელგიაში გასამართ ევროპის პირველობაზე ძიუდოში საბჭოთა ნაკრების წევრები. 20 წლის გივიმ შესარჩევ ორთაბრძოლებში დაამარცხა მასზე გაცილებით უფროსი ასაკის, იმ დროის მსოფლიოში ცნობილი ძიუდოისტები ვ. საუნინი და ვ. კუზნეცოვი და მოიპოვა ბელგიის საგზური. 1969 წელს ბელგიაში გამართულ ევროპის პირველობაზე გივიმ ყველა მრისხანე მეტოქე დაამარცხა ( იმ დროს მძიმე წონაში 7–8 მსოფლიო მასშტაბის ძიუდოისტი მონაწილეობდა – ასაკითაც და გამოცდილებითაც მეტი! ), მხოლოდ ფინალში მსაჯების არაობიექტურობის გამო დამარცხდა მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონთან – ჰოლანდიელ გოლიათთან – ვილემ რიუსკასთან.

**ანზორ ქიბროწაშვილი** – ***ევროპის პირველი ქართველი ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების, ევროპის პირველობების პრიზიორი:*** – ... ყველაფერი ხელს უწყობდა გივის – გარეგნობა, ახოვანება, ფიზიკური ძალა, მოქნილობა და გულკეთილობა, სადაც არ უნდა გამოსულიყო იგი სამშობლოში თუ უცხოეთში, უმალვე საყოველთაო სიმპათიას იმსახურებდა, ყველა მოხდენილი ჭაბუკის გულშემატკივარი ხდებოდა, რომელიც მეტოქესთან შერკინებაში ვაჟკაცობასთან ერთად არტისტიზმსა და მომხიბვლელობას აქსოვდა, ჩვენ, როგორც პირველი თაობის ძიუდოისტებს გივის სახით ღირსეული მემკვიდრე გამოგვიჩნდა!...

მეხიკოს ( 1969 წ. ) მსოფლიო პირველობაზე ძიუდოში ქართველმა ძიუდოისტმა დაამარცხა ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, გერმანელი გოლიათი მაიერი, ჰოლანდიელი ეველანსი და მსოფლიო ჩემპიონი იაპონელი მ ა ტ ც უ ნ ა გ ა. მსაჯების არაობიექტურობის გამო გივი ამჯერად მესამე ადგილზე გამოვიდა.

***– დაწვრილებით თქვენი თვალსაჩინო წარმატებების შესახებ?***

– მსოფლიო პირველობა მექსიკაში 1969 წ. ბრინჯაოს პრიზიორი; პირადში ევროპის ჩემპიონი ( 1974 – 1975 წ.წ. ), გუნდურ პირველობაზე ევროპის ჩემპიონი (1970 წ.), ევროპის პირველობის სამგზის ვერცხლის პრიზიორი ( 1969, 1972, 1976 წ. წ.) და 1971 წელს ბრინჯაოს პრიზიორი, სსრკ-ს ჩემპიონი (1970,1973 წ. წ. ) და 1975 წელს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი სამბოში (1970 – 1972 წ.წ. ); აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის პირველობაზე , სადაც გივი ჩემპიონი გახდა, მიუხედავად მარცხენა მკლავის მძიმე ტრამვისა, ყველა მეტოქე დაამარცხა, ფინალში აშკარად დაჯაბნა მოლდაველი გოლიათი ვალენტინ კუცუ.

***– პატარძეული, საქართველოში ერთ – ერთი ძლიერი კერაა ჭიდაობაში, ვის გამოყოფდით ამ სოფლის მოჭიდავეებიდან.***

– პატარძეულმა მსოფლიოს, საქართველოს მრავალი ღირსეული მამულიშვილი გაუზარდა, როგორც პოეზიაში, პროზაში, ხელოვნებაში, ასევე სპორტშიც.

საქართველოს აბსოლუტური ფალავანი არჩილ ონაშვილი შეიძლება ჩაითვალოს გზის გამკვალად მოჭიდავეთათვის, ქვეყნის მასშტაბით სახელი გაითქვეს – შაქრო ელერდაშვილმა, თენგიზ და მურთაზ ელერდაშვილებმა, ვალიკო ლაფერიშვილმა, ნიკო მუჩიაურმა, ივანე ( გურგენა ) უდუმაშვილმა, ვალიკო ჭინჭარაძემ, არსენ ჭინჭარაძემ, ვალოდია ლაფერიშვილმა, გიორგი ოთარაშვილმა, გიორგი ( ცუგო ) გვარიძიშვილმა, გივი ეპიტაშვილმა, ომარ ჭინჭარაძემ, ალექსი მენაბდიშვილმა, ოთარ მუჩიაურმა, ომარ მიქელაშვილმა, ტარიელ, რამაზ, სულხან და მამუკა სუხაშვილებმა, მიხეილ ყუშიტაშვილმა, თენგიზ ჭინჭარაძემ, ლაშა ცხვარიაშვილმა და სხვებმა, ისე, რომ ჩვენს წარმატებებს ჰქონდა სოფელში ნოყიერი ნიადაგი, საფუძველი.

***– თქვენი თაობის მოჭიდავეებიდან ვის გამოყოფდით?***

– ჩემთვის ბედნიერება იყო მოხვედრა ძიუდოს ქართული სკოლის შესანიშნავ თაობასთან – მსოფლიოს, საკავშირო თუ ქვეყნის მასშტაბით ცნობილ მოჭიდავეებთან ერთად – ანზორ მარტყოფლიშვილთან, შენგელი ფირცხელაურთან, ამირან ობგაიძესთან, ვახტანგ კბილაშვილთან, გურამ რატიშვილთან, ომარ გულისაშვილთან, თემურ ხუბულურთან, დილარ ხაბულიანთან,რამაზ ხარშილაძესთან, აბდულა ბარკალაევთან, ამირან მუზაშვილთან, ჯემალ ნათელაშვილთან, შოთა ჩოჩიშვილთან და სხვა.

***– ვინ იყო თქვენი კერპი სპორტში, ცხოვრებაში?***

– თავისი ვაჟკაცობით, თავმდაბლობით, ჭიდაობაში წარმატებებით, ცხოვრების წესით ჩემთვის სამაგალითო პიროვნება იყო ყველა ადამიანური ღირსებით შემკული პიროვნება, ახმეტელი ფალავანი ანზორ ქიბროწაშვილი. ყოველთვის ვცდილობდი, რომ მეც ასეთი ვყოფილიყავი.

***– მოვლენები, რომლებმაც ცხოვრებაში მოგიტანათ სიხარული ან სინანული? ან სპორტში?***

– ცხოვრების გრძელ მანძილზე, რომელიც გამოვიარე, ბევრი სიხარულიც განმიცდია და სინანულიც. სპორტში პირველი სიხარული განვიცადე, როცა დავამარცხე მძიმე წონაში იაპონელთა ფალავანი ც. კაობატა, მანამდე იაპონიის ნაკრებმა ტრიუმფით მოიარა საბჭოთა კავშირი, საქართველოს ნაკრებიც დაამარცხა 6:1 – ზე; ეს ერთადერთი გამარჯვება მე მოვიპოვე. ყველა შემდგომი გამარჯვებები მეტ სიხარულსა და შემართებას გმატებს. სიამაყით ივსები, როცა ჩემპიონი ხდები და შენი წარმატების გამო მაღლა იწევა საქართველოს ეროვნული დროშა და დარბაზში ჟღერს საქართველოს ჰიმნი. ჩემთვის მეტად სასიხარულო და ამაღელვებელი იყო ის ფაქტი, რომ 1972 წელს ქ. მოსკოვში გამართულ საბჭოთა კავშირის ხალხთა V საიუბილეო სპარტაკიადის საზეიმო გახსნაზე საქართველოს დელეგაციამ თავის თავკაცად ამირჩია და რესპუბლიკის დროშა მანდო! სინანულს, რაც შეეხება, სულ მცირე სამჯერ მსაჯთა არაობიექტურობის გამო დავკარგე ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის, ევროპის ჩემპიონის ტიტული.

***– კურიოზები, რომლებიც გადაგხდენიათ ცხოვრებაში, სპორტში?***

– მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში წარმატებით გამოსვლის შემდეგ, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ანდრეევმა მაჩვენა იაპონიაში გამოცემული ჟურნალი, სადაც გამოქვეყნებული იყო იმ დროის მსოფლიოს უძლიერესი ძიუდოისტების ფოტოსურათები, მათ შორის ჩემი ფოტოსურათი იყო შავ ჩარჩოში ჩასმული. ანდრეევს ვეკითხები: მე, ხომ ჯერ ცოცხალი ვარ, რატომ არის სურათი შავ ჩარჩოში? ანდრეევმა გაიღიმა და მითხრა – იაპონელები თავიაანთ მრისხანე მეტოქეებს სვამენ შავ ჩარჩოშიო.

უნგრეთში გამართულ ევროპის პირველობაზე – გავხდი რა ევროპის ჩემპიონი მძიმე წონაში, დამშვიდებული ავედი საჭიდაო დარბაზის ზედა სართულზე მოთავსებულ კაფე – ბარში სადილად. სადილობას რომ ვამთავრებდი, დაბლიდან, სადაც ჭიდაობა მიმდინარეობდა, ნაკრების მწვრთნელი მეძახის – სასწრაფოდ ჩამოდიო! თურმე მათ გადაუწყვეტიათ, რომ მე კიდევ გამოვსულიყავი აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, რაც ნამდვილად აღარ მინდოდა. რა უნდა მექნა, საჩქაროდ ჩავედი, თურმე მეტოქე კარგა ხანის გამზადებული მელოდა, სწრაფად ჩავიცვი კიმანო და ელვის სისწრაფით დავამარცხე მეტოქე და შემდეგ აღარ გავაგრძელე ორთაბრძოლები.

***

გაზეთის ფორმატი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა ის სიხარული, გულისტკენა თუ კურიოზი გავიხსენოთ, რაც გივის გადახდენია.

და ბოლოს აღვნიშნავთ, რომ გივი ონაშვილი ჩემპიონია ცხოვრებაშიც. ჰყავს შესანიშნავი ოჯახი, ოთხი ულამაზესი ქალიშვილი, ქართველი ქალების ბრწყინვალე განსახიერებები. მეუღლე – **მაყვალა წიკლაური,** პროფესიით მიკრობიოლოგი, გივისავით ახოვანი, ქართველი ქალის განსახიერება. უფროსი ქალიშვილი **ნინო ონაშვილი** – საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში, მან 5 მეტრით გააუმჯობესა სახელგანთქმული ნინო დუმბაძის ევროპის რეკორდი 52 მ. მას ჰყავს 2 შვილი, მათ შორის 21 წლის ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში, მსოფლიოს და ევროპის პირველობების მრავალგზის პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ და პირად პირველობებში (ახალგაზრდებში – ძიუდო) – ლევან მატიაშვილი; ლევანის პატარა ძმა დავითი 14 წლისაა და თავისი ბუნებრივი მონაცემებით – საკმაოდ ტანადია, იწონის 100 კგ – მდე, ფიქრობს ეზიაროს ძიუდოს საიდუმლოებას.

**მარინე ონაშვილი** – საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მძლეოსნობაში, ამჟამად მუშაობს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში იურისტის თანამდებობაზე, ჰყავს სამი შვილი.

**შორენა ონაშვილი** – უცხო ენების სპეციალისტი, ჰყავს ორი შვილი და ბოლოს " მის საქართველო 2003 წელი " – მსოფლიოში ცნობილი სილამაზის დედოფალი **ირინა ონაშვილი,** რომელმაც 2003 წელს ჩინეთში გამართულ " მის მსოფლიო" – ზე წარმატებით წარმოაჩინა საქართველო. ირინას ეზრდება საბა – 2,5 წლის. ერთი სიტყვით, გივი ონაშვილი სამაგალითო პიროვნებაა,როგორც ოჯახის თავკაცი, მამა და როგორც პაპა.

გივიმ ჩვენთან საუბრის დასასრულს აღნიშნა თავისი ცხოვრების კრედო – ,,... ჩვენ ქარში ანთებული სანთლები ვართ! არ ვიცით, როდის ჩაიფერფლება ჩვენი ცხოვრების სანთლები, ამიტომ უნდა ვიჩქაროთ სანთლის ჩაქრობამდე მოვასწროთ კეთილი საქმეების კეთება, სიხარული მივანიჭოთ ერთმანეთს, გავეჯიბროთ ერთმანეთს სიყვარულში, ერთგულებაში, ვაჟკაცობაში, საქმით დავამტკიცოთ სამშობლოს სიყვარული, გავუფრთხილდეთ, გვიყვარდეს ერთმანეთი!.. ,,

ამ სულისკვეთებით ცხოვრობდა და ცხოვრობს დიდ სპორტშიც, ცხოვრებაშიც პატარძეულელი გოლიათი, ქართული გენის, ვაჟკაცობის ბრწყინვალე გამოვლინება გივი ონაშვილი, ისღა დაგვრჩენია, ვუსურვოთ სასახელო მამულიშვილს ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე ქვეყნისა და ოჯახის საკეთილდღეოდ.ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი ლამაზი, ახოვანი, სასახელო ადამიანები!

გივიმ დიდი სპორტის დატოვების შემდეგ ( 1980 წელს ) გადაინაცვლა სოფლის მეურნეობის სფეროში – თავისი სპეციალობით. ღირსების ორდენის კავალერი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ერთხანს მუშაობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში მთავარ სპეციალისტად.

**ბია მაისურაძე** – *აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების" დირექტორი:* – მცირე ხანია, რაც ჩვენთან, სპორტულ გაერთიანებაში დაიწყო მუშაობა ამ ლეგენდარულმა პიროვნებამ, ძიუდოს მსოფლიოს ერთ – ერთმა გამორჩეულმა ვარსკვლავმა, გარეჯული სპორტისთვის გივის მოსვლა ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი დაუზარებლად უზიარებს თავის მდიდარ სპორტულ, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, როგორც ნორჩ სპორტსმენებს, ასევე მათ მწვრთნელებს. მისი ხელი უკვე დაეტყო ჩვენს გაერთიანებას, პირადი ინიციატივით კეთილმოაწყო მწვრთნელი – სპეციალისტების სამუშაო ოთახი, მისი უშუალო ხელშეწყობით მოგვარდა საგარეჯოს არასაუწყებო დაცვის შენობაში არსებულ საჭიდაო დარბაზში წლების განმავლობაში არსებული პრობლემა – გათბობა. საგარეჯოს მე-3 საჯარო სკოლის წინ გივის თაოსნობით გაშენდა ნაძვნარი. მისმა შემოსვლამ ჩვენც, როგორც სპორტის მესვეურებს, ასევე მწვრთნელებს, ნორჩ სპორტსმენებს – ხალისი, მოტივაცია მოგვიმატა, მოგვცა სტიმული, რაც რაიონში სპორტის წინსვლას უთუოდ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

*თენგიზ კობიაშვილი*

## წლის სტუმარი

# გემის კაპიტანი



### დასასრული

იამ მოთხრობა „1200“. რომელიც ქართული ლიტერატურის IV კლასის სახელმძღვანელოში იყო შესული. მას ესტუმრა მამა-შვილი და დახმარება სთხოვა. ბატონმა მიხეილმა არ დააყოვნა და წერილი მისწერა ბათუმის საზღვაო-სანაოსნო სასწავლებლის დირექტორს იაშა ოგანეზოვს.

წერილი დალუქა და გაატანათ. ბათუმში ჩასულმა მამა–შვილმა წერილი გადასცეს სასწავლებლის დირექტორს და პასუხს დაელოდნენ. წერილში ეწერა:

***მოგესალმებით ჩემო იაშა!***

***მოგიკითხავთ და გიგზავნით ჩემს თანასოფლელს.***

***გთხოვთ, შეამოწმოთ მისი ცოდნა უმკაცრეს ფორმებში და თუ არ აჩვენა სათანადო ცოდნა, არ დაუშვათ მისაღებ გამოცდებზე!***

*პატივისცემით*

*მიხეილ ჭინჭარაძე.*

აქვე გამოგიტყდებით, რომ სკოლაში სწავლის დროს, ბატონი გიორგი არ გამოირჩეოდა კარგი სწავლით. დიდ დროს უთმობდა სხვადასხვა ჟანრის წიგნების კითხვას და სპორტს.

სასწავლებელში გამოცდები ვერ ჩააბარა და ვერ ჩაირიცხა. წარუმატებლობამ ძალიან დაალონა თავმოყვარე ბიჭი. იფიქრა, ასე ზარ–ზეიმით გამოცილებული რა პირით დავბრუნდეო უკან, უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი იყო. გადაწყვიტა საზღვაო მოსამზადებელ სკოლაში შესულიყო. აქედან დაიწყო თავდაუზოგავი შრომა, დღე და ღამის გასწორება, საგნების თავიდან მომზადება, რუსული და ინგლისური ენის სრულყოფილად შესწავლა, რომელიც ძალიან აუცილებელი იყო მისი კარიერული წარმატებისათვის. მოსამზადებელი სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის საზღვაო-სანაოსნო სასწავლებელში შორეული ნაოსნობის შტურმანის სპეციალობაზე, რომელიც წარმატებით, წითელ დიპლომზე დაამთავრა.

სასწავლებელში II-კურსზე სწავლის დროს გააგზავნეს საზღვაო პრაქტიკაზე გემ “კლაიპედაზე“ (მისი უსაყვარლესი გემი). ნაოსნობის დროს გემის II–მზარეული გახდა ცუდად. გემის ადმინისტრაციამ კურსანტ უნაფქოშვილს შესთავაზა II-მზარეულის მოვალეობის შესრულება. თანაც უთხრეს, ხელფასიც გექნებაო და პრაქტიკასაც გაივლიო. კურსანტი შეყოვნდა, უფროსობამ დაითანხმა და დახმარებასაც შეჰპირდა.

გემი ასრულებდა რეისს. ბათუმი–ახალი ორლეანი. როდესაც გემი მდინარე მისისიპში მიცურავდა ვერც–ერთმა მესაჭემ თავი ვერ გაართვა გემის საჭის სწორად მართვას, ამის გამო კაპიტნის მიერ ყველა მათგანი მოხსნილი იქნენ საჭიდან.შემდეგ აღშფოთებულმა კაპიტანმა იკითხა „დარჩა ვინმე, რომელსაც შეუძლია მართოს საჭე?“ უფროსმა თანაშემწემ მოახსენა „დარჩა მხოლოდ პრაქტიკანტი, რომელიც II-მზარეულის მოვალეობას ასრულებს:. რასაც მოჰყვა გემის ტრანსლაციით II-მზარეულის გამოძახება „კაპიტნის ხიდზე“. პრაქტიკანტი მზარეულის ფორმით ავიდა კაპიტნის ხიდზე, სადაც 11–მატროსი მესაჭე იყო რიგში ჩამდგარი. კაპიტანმა ბრძანა ჩაებარებინათ საჭე. ბრძანების ზედმიწევნით წარმატებით შესრულების შემდეგ მზარეული ნაოსნობის დამთავრებამდე საჭესთან დატოვეს. კაპიტანმა მატროსმა მიუთითა თუ როგორ უნდა მდგარიყვნენ საჭესთან.

ბათუმის სასწავლებლის დამთვრების შემდეგ, აღსანიშნავია, რომ 120 კურსდამთავრებულთა შორის იგი ერთადერთი ქართველი იყო,რომელმაც წითელ დიპლომზე დაამთავრა.

დიპლომების საზეიმო გადაცემასთან ერთად კურსდამთავრებულებს ანაწილებდნენ საბჭოთა კავშირის 15 სხვა და სხვა საზღვაო–სანაოსნოებში. როდესაც ჯერი გიორგი უნაფქოშვილზე მიდგა სასწავლებლის დირექტორმა, ბატონმა იაშამ ყველას გასაგონად გამოაცხადა „მას ჩვენგან დამოუკიდებლად შეუძლია თვითონ ამოირჩიოს საზღვაო-სანაოსნო.“ გიორგიმ არჩევანი ნოვოროსიისკის საზღვაო-სანაოსნოზე შეაჩერა, სადაც 4 წელიწადს დაჰყო. საზღვაო სასწავლებლების დამთავრების შემდეგ განვლო ყველა საზღვაო საფეხური მატროსიდან შორეული ნაოსნობის კაპიტნობამდე.

***

მერე თანდათან ზღვის ტალღებში ესახებოდა სახე ერთი პატარა გოგონასი, მომდევნო კლასში რომ სწავლობდა და ნელი ენაგელი ერქვა სახელად. მაშინ ყველგან სადაც საშუალება მიეცემოდა წერდა გელა+ნელი+ზღვა ანდა გელა+ზღვა+ნელი. მერე წერილით გაანდო „ჩემთვის ყველაზე ძვირფასი შენ და ზღვა ხართო“ – შეიქმნა სიყვარულით და სითბოთი სავსე ქართული ტრადიციული მეზღვაურთა ოჯახი. ოჯახის სიმძიმე, შვილების აღზრდა დაეკისრა მუდამ მოლოდინში ნაპირზე მყოფ მეუღლეს. . . ქალბატონ ნელის.

ამბობენ „კვიცი გვარზე ხტისო“. ბ–ნი გელას უფროსმა შვილიშვილმა, გიორგი უნაფქოშვილმა, ღირსეული პაპის გზა გააგრძელა და ბათუმის საზღვაო აკადემიის მე–2 კურსის კურსანტია.

ბატონი გიორგი მცირე დროს ატარებს პატარძეულში, დიდი სიყვარულით ნაშენებ ოჯახში. მისი პროფესიიდან გამომდინარე, სახლში ყოფნის დრო არასდროს არის განსაზღვრული. ყოველ წუთში შეიძლება მოხდეს მისი გამოძახება.წასვლამდე აუარებელი საქმეა გასაკეთებელი, ეზო–კარმიდამო მოსავლელი. ზღვაში მყოფს ყოველთვის ენატრება საქართველო თავისი ველური ბუნებით, ეკლესია მონასტრებით, ტყე-ღრეებით.

ყოველი წასვლისას მეგობრები დიდი სიყვარულით აცილებენ. ულოცავენ გზას და თან ერთ მუშტა ქვას ატანენ და სხვადასხვა ზღვებსა და ოკეანეებში აგდებინებენ, თან ხუმრობენ „პატარძეულს მსოფლიო ზღვებსა და ოკეანეებში მიჯნები აქვს ჩაგდებულიო“.

მსოფლიოში არსებობს 4 უდიდესი არხი, სადაც დიდი გემები გადიან. ყველა მეზღვაურის ოცნებაა ამ არხების გავლა. ბატონ გიორგის აქედან 3 გავლილი აქვს. მის შეუსრულებელ ოცნებად რჩება მე-4, – ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში შემავალი არხი.

ამ მარშრუტის გავლა დაკავშირებულია გემების სპეციფიკიდან გამომდინარე, პრობლემებთან, აქ მოგზაურობენ სპეციალიზირებული, ყინულოვან ზღვაში მცურავი გემები. ბატონი გიორგი ამბობს, რომ შეიძენს ბილეთს და მოგზაურის სტატუსით მაინც გაივლის ამ არხს.

ბატონი გიორგი უნაფქოშვილი ბოლო მეზღვაურია,რომელსაც საბჭოთა კავშირის დაშლამდე მოსკოვში მიენიჭა კაპიტნის წოდება.

ბატონი გიორგი უნაფქოშვილი უძლიერესი პიროვნებაა, გონებრივი და ფიზიკური მონაცემებით, ქველმოქმედი, კაცი– ლეგენდა, მეზღვაურთა სამყაროში „ზღვის ლომად“ წოდებული, მსოფლიოს 10 საუკეთესო კაპიტანთა სიაში მყოფი, რომელმაც ბავშვობის ოცნება წარმატებულად აიხდინა და მარადისობაც დაიმკვიდრა. მრავალწლიანი მოგზაურობით, მრავალ და მრავალ ქვეყნებთან და ქალაქებთან ურთიერთობით უნიკალური საზღვაო ექსპონატები შეაგროვა და პატარძეულში საკუთარ სახლში საზღვაო მუზეუმი გახსნა, რომელიც უახლოეს მომავალში მრავალ დამთვალიერებელს მიიზიდავს.

*თინათინ ბერძენიშვილი,*

***პატარძეულის საკლუბო მუშაობის სპეციალისტი.***

## 14 იანვარი — ქართული თეატრის დღე!

## საგარეჯოს თეატრალური დასი 139 წლისაა

# ტრადიციები, რომლებსაც აგრძელებენ

**საგარეჯო** – კახეთის პატარა ქალაქი უდიდესი კულტსაგანმანათლებლო და სპორტული ტრადიციების მქონეა. იგი ჯერ კიდევ სოფლად იწოდებოდა, როცა აქ დაარსდა თეატრალური დასი, დაწყებითი სკოლა, ბანკი, შემდგომში აღიარებული საკოლმეურნეო ბაზარი და ასე შემდეგ. 19 (ძველი სტილით 6) იანვარს საგარეჯოს თეატრალურ დასს დაარსებიდან 139 წელი უსრულდება. 14 იანვარს კი ქართული თეატრის დღეა. ვულოცავთ საგარეჯოს თეატრალური დასის მსახიობებს, რეჟისორს, თითოეულ თანამშრომელს თეატრის დღეს. რაც შეეხება თეატრალური დასის დაარსებას და მის შემდგომ საქმიანობას, აიპ ***„საგარეჯოს კულტურის გაერთიანების“ დირექტორი*** **ბესო დვინაშვილი** გვესაუბრება.

***– ბ-ნო ბესო, კულტურის გაერთიანების მუშაკებსა და თეატრალური დასის წევრებს ჩვენი გაზეთის მკითხველთა სახელით ვულოცავთ დაარსებიდან 139 წლისთავს და თეატრის დღეს. ჩვენი აზრით, არ იქნება ინტერესმოკლებული, გავიხსენოთ ის ადამიანები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საგარეჯოს სახალხო თეატრის დაფუძნება-ჩამოყალიბებას. ტრადიციები, რომლებსაც დღეს ჩვენი დასელები აგრძელებენ, მართლაც საამაყოა თითოეული ჩვენთაგანისთვისაც.***

– გმადლობთ. დიდი სიამოვნებით შემიძლია ვისაუბრო ამ საკითხზე. მოგეხსენებათ, ქართველი ხალხის სულიერ საუნჯეში თეატრს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია. გიორგი ერისთავის მიერ დაარსებულმა ქართულმა თეატრმა ღრმად გაიდგა ფესვი საქართველოს ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში. საგარეჯო ერთ-ერთი პირველი სოფელი იყო ხონის შემდეგ, სადაც 1876 წლიდან რეგულარულად მოქმედებს სცენისმოყვარულთა დასი.

მას შემდეგ, რაც ცნობილმა სახალხო მასწავლებელმა ალექსანდრე ცხვედაძემ 1874 წლიდან საგარეჯოში საფუძველი ჩაუყარა დაწყებითი ტიპის სკოლას, მის საზრუნავს შეადგენდა სიდუხჭირითა და უმეცრებით დაბეჩავებული გლეხობის გათვითცნობიერება, ამიტომ მან სოფლის მოწინავე ადამიანებზე დაყრდნობით სცენისმოყვარეთა დასი ჩამოაყალიბა.

დრამატული დასის ბირთვს შეადგენდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, ციმბირის გადასახლებიდან ახლად დაბრუნებული თოხლიაურელი ლევან ჩერქეზიშვილი, მარო ჩერქეზიშვილი, თავად ალექსანდრე ცხვედაძის ძმა – იოსები, ნიკო ქურდოვანიძე, იოსებ გულისაშვილი და სხვები. დასმა დასადგმელად აირჩია ალ. ცხვედაძის პიესა „ბედნიერი ქორწილი“. რეჟისორობა ლევან ჩერქეზიშვილმა იკისრა. დასის საერთო ხელმძღვანელობა კი ალექსანდრე ცხვედაძემ. პრემიერა 1876 წლის 6 იანვარს (ახალი სტილით 19 იანვარს) შედგა, ახლადაგებული სკოლის ერთ მოზრდილ ოთახში (ახლანდელი ერეკლე II-ის ქუჩაზე).

სცენისმოყვარეთა მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ისეთი პიესის შერჩევა, რომლითაც პატრიოტული სულისკვეთება გაუღვივდებოდა მასებს. ზაფხულობით საგარეჯო სავსე იყო თბილისის სხვადასხვა სასწავლებლის მოსწავლე-ახალგაზრდობითა და დასასვენებლად ჩამოსული ინტელიგენციით. მათი შეკრების მთავარ ადგილს ბიბლიოთეკა-სამკითხველო წარმოადგენდა, გართობის ადგილს კი „ხატიკაკლები“ თავისი შესანიშნავი მდელოებითა და ნაკადულებით.



„1902 წლამდე საგარეჯოს თეატრმა მოიარა მაშინდელი ცოტად თუ ბევრად განვითარებული ოჯახების კალოები, ჩარდახები – წერს სიმონ მთვრაძე, – სცენისმოყვარეები ვეღარ ეტეოდნენ კალოებზე და უფრო ფართო ადგილს დაუწყეს ძებნა. 1909 წლიდან სცენისმოყვარეთა დასი გილაანთ ჩარდახიდან გადადის შაქარა პეპანოვის უფრო კეთილმოწყობილ სახლში, რომელსაც მოზრდილი დარბაზი ჰქონია. აქედან დაიწყო წარმოდგენების რეგულარულად გამართვა. სწორედ აქ გადაუწყვეტია სცენისმოყვარეთა დასს შეექმნა სპეციალური ფონდი თეატრის შენობის ასაშენებლად. 1910 წელს შეიქმნა თეატრის მუდმივი გამგეობა ე.წ. „საგარეჯოს დრამატული საზოგადოება“, შემოიღეს საზოგადოების წევრთა საწევრო გადასახადი. და აი, 1910 წელს „ხატიკაკლების“ მწვანე ველზე საძირკველი ჩაუყარეს სახალხო თეატრს. მთელი მოსახლეობა მონაწილეობდა თეატრის მშენებლობაში. 1912 წელს თეატრის შენობა თითქმის დამთავრებული იყო, ეკლდა მხოლოდ შიგნით გამართვა. 1912 წელს თეატრის დაუმთავრებელი შენობა ქირით გადასცეს იმ დროს კახეთის რკინიგზის მშენებლობის ხელმძღვანელობას, რომელსაც საავადმყოფოდ გამოუყენებია. რკინიგზის მშენებლობის ადმინისტრაციას სცენისმოყვარეთა ყოველმხრივი დახმარებით თეატრის შენობა სრულად დაუმთავრებია 1914 წელს. სწორედ აქედან იწყება საგარეჯოს სახალხო თეატრის მოღვაწეობის ახალი ხანა – ყოველ კვირა უქმეს აქ წარმოდგენები იმართებოდა.

1926 წელს საგარეჯოს საზოგადოებამ საგარეჯოს სახალხო თეატრის დაარსების 50-ე წლისთავი აღნიშნა. ამ დროს საგარეჯოს თეატრის სცენაზე მოღვაწეობდნენ ცნობილი მსახიობები: ნინო ზურმუხტაშვილი, არეთა ლოლუა, გოგი ფრონისპირელი (ყიფშიძე), მათთან ერთად საგარეჯოს თეატრის წამყვანი სცენისმოყვარეები დარია მაისურაძე, ქეთო ციციშვილი, ელენე მჭედლიშვილი, იაშა ანუაშვილი, ნიკოლოზ ქურდოვანიძე, ნიკოლოზ ქვლივიძე, ალექსანდრე ბედიაშვილი, ლევან ნადირაძე, ირაკლი ექვთიმიშვილი, ვიქტორ გარსიაშვილი, ელიზბარ ქურდოვანიძე, კოტე მჭედლიშვილი და სხვები.

ომის მძიმე წლებში სახალხო თეატრი გადაკეთდა კულტურის სახლის დრამატულ დასად, რომელშიც ნაყოფიერ მუშაობას ეწეო-

*დასასრული მე-8 გვერდზე*

## ჯემალ ნინოშვილი

**ამ** დღეებში საგარეჯოს სპორტულ სახელოვან ოჯახს ერთ-ერთი ღირსეული წევრი, ცნობილი მოჭიდავე – ფალავანი ჯემალ ნინოშვილი გამოაკლდა.

იგი დაიბადა 1946 წელს. დაამთავრა საგარეჯოს I საშუალო სკოლა. რამანა ნინოშვილისა და ელიკო არჩუაძის მრავაშვილიანი ოჯახის უფროსი ვაჟი პატარაობიდანვე ეზიარა ქართული ჭიდაობის რაინდულ, ლამაზ, სწრაფ, საზრიან და მრავალფეროვან ილეთებს, რომელმაც შემდგომში დიდ სპორტში გაუკვალა გზა. გარეჯელ ცნობილ მოჭიდავეებთან – ლევან თედიაშვილთან, გურამ გოგოლაურთან, როინ ქაიხოსროშვილთან, მიხეილ არჩუაძესთან, დევა რევაზიშვილთან ერთად გაიარა თავისუფალი ჭიდაობის შესანიშნავი სკოლა ცნობილ მწვრთნელთან ვანო მეკოკიშვილთან, ხოლო შემდეგ, ქალაქ გორში პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლისას ვარჯიში დაიწყო მსოფლიოში აღიარებულ გორის ძიუდოს სკოლაში, სახელგანთქმულ მწვრთნელთან გურამ პაპიტაშვილთან. ჯემალი წარმატებით გამოდიოდა როგორც საკავშირო, ასევე საერთაშორისო და საქართველოს პირველობებზე ძიუდოში, სამბოში, თავისუფალ ჭიდაობაში, ქართულ ჭიდაობაში. იყო საბჭოთა კავშირის სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი. სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი, საქართველოს პრიზიორი ძიუდოში, არსენ მეკოკიშვილის სახელობის საკავშირო ტურნირის გამარჯვებული სამბოში (90კგ), საქართველოს ჩემპიონი სამბოში (100კგ), საქართველოს ფალავანთა პირველობის III პრიზიორი. ტრაგიკული შემთხვევის შედეგად ბოლო წლები მიჯაჭვული იყო ლოგინს. ჯემალს დარჩა შესანიშნავი ოჯახი – მეუღლე და ორი ვაჟკაცი. საჭიდაო არენაზე და ცხოვრებაშიც გამოირჩეოდა სამართლიანობით, სიკეთით, პირდაპირობით, მეგობრობით.



ნათელში ამყოფოს ღირსეული მამულიშვილის, საუკეთესო მეგობრის, ოჯახის თავკაცის, სახელოვანი მოჭიდავის სული.

*აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ თანამშრომლები*

## 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა!

## საგარეჯოს თეატრალური დასი

# ტრადიციები, რომლებსაც აგრძელებენ

**დასასრული**

და ცნობილი რეჟისორი და მსახიობი მიხეილ სულხანიშვილი. იგი სისტემატურად დგამდა პატრიოტულ პიესებს – სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ალ. ყაზბეგის „არსენა“, ალ. ცაგარელის „ციმბირელი“ და სხვა. იმ მძიმე წლებში მიხეილ სულთანიშვილს გვერდში ედგნენ თეატრის ამაგდარნი – დარია მაისურაძე, ნიკოლოზ ქურდოავანიძე, ნიკოლოზ ქვლივიძე, ირინე და შალვა ჯაფარიძეები, ეთერ თედიაშვილი, გიგა დოლენჯაშვილი, უმცროსი თაობის წარმომადგენლები: შოთა ციციშვილი, ჯიმშერ ძაბილაშვილი, ჯამლეტ ციციშვილი, თენგიზ ჯაფარიძე, ვახტანგ ფურცელაძე და სხვები. 1948-49 წლების სეზონში მოწონება დაიმსახურა რეჟისორ თედო წეროძის მიერ აკაკი წერეთლის ბაში-აჩუკის დადგმამ. ომისშემდგომ პერიოდში საგარეჯოს სცენისმოყვარეთა შორის აქტიური მოღვაწეობით გამოირჩეოდნენ ახალგაზრდა შემსრულებლები: ე. თედიაშვილი, ჟ. ძაბილაშვილი, ვ. ფურცელაძე, ჟ. ორჯონიკიძე, ი. სოზასვილი, ი. მდივანოვი, ი. ბუზიაშვილი, ა. მჭედლიშვილი, თ. ბედიაშვილი და სხვები.

1959 წელს საგარეჯოს კულტურის სახლის დრამატულ დასს მიენიჭა სახალხოს წოდება.

„სახალხო“ წოდების მინიჭების შემდეგ თეატრში მოღვაწეობდნენ რეჟისორები: ვახტანგ ფურცელაძე, თედო წეროძე, ალექსანდრე ალაზნისპირელი, ეთერ თედიაშვილი, ნუნუ მდივნიშვილი, თამაზ ფერაძე, რომან აბულაძე, ვანო ოსაძე, მხატვრები: ირაკლი ნინიძე, დიმიტრი თავაძე, ირაკლი ხუროშვილი, ივანე ასკურავა, შოთა ციციშვილი.

სახალხო თეატრის აღდგენის შემდეგ დაიდგა ა. აფხაიძის „სახელგატეხილნი“, ე. რანეტის „გზააბნეული შვილი“, შ. გოცირიძის „სარჩობელაზე“, მ. მრევლიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ს. მთვარაძის „უმადური“, გ. ივანიშვილის „შემთხვევა გზაზე“, მ. თარხნიშვილის „ყბაჩამ დაიგვიანა“, ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“, გ. ბერიაშვილის „მეხდაცემული კაკალი“, გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“, ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“, ა. ცაგარელის „ხანუმა“, მ. მრევლიშვილის „ზვავი“.

1986 წლის 26 იანვარს ექსპლოატაციაში შევიდა საგარეჯოს კულტურის სასახლე და გაიმართა სახალხო თეატრის დაარსებიდან 100 წლის იუბილე. ამ პერიოდიდან სახალხო თეატრში მოღვაწეობდნენ რეჟისორები: ვახტანგ ფურცელაძე, ლადო ცხვარიაშვილი, ნუნუ მდივნიშვილი, თინა მეზვრიშვილი, მალხაზ ჯაფარიძე, სოსო ვარდიაშვილი. ამ პერიოდის სცენისმოყვარეთა შორის აქტიური მოღვაწეობით გამოირჩეოდნენ ეთერ თედიაშვილი, ნანული ბილანიშვილი, შოთა ბაზერაშვილი, ნაირა ელმეთაშვილი, სოსო ვარდიაშვილი, ბადრი დრეიძე, გელა კირაკოზაშვილი, ზაურ შათირიშვილი, ელგა ემრაშვილი, ფატი მდივანოვი, ივერი ჭიაურელი, მიხეილ ხოკერაშვილი, ნათელა დიღმელაშვილი და სხვები. რეჟისორების მიერ დაიდგა შემდეგი სპექტაკლები ს. მიხალკოვის „ველურები“, ო. ჩხეიძის „ვისია, ვისი“, ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“, ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“, ა. ჩხაიძის „როცა ქალაქს სძინავს“, ნ. დუმბაძის „კუკარაჩა“, ლ. თაბუკაშვილის „ჭრილობა“, თ. ჭილაძის ჩიტების ბაზარი“, ზ. სვანიძის „რეპეტიცია, ანუ ტრაგედიის დასაწყისი“. რ. ტომას „მახე“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.

არნიშნული სპექტაკლებიდან მაყურებელთა უდიდესი მოწონება დაიმსახურა ნ. დუმბაძის „კუკარაჩამ“, ლ. თაბუკაშვილის „ჭრილობამ“, ზ. სვანიძის „რეპეტიცია, ანუ ტრაგედიის დასაწყისი“.

1989 წლის ოქტომბერში ნ. დუმბაძის კუკარაჩათი“ სახალხო თეატრმა მონაწილეობა მიიღო ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქ ნალჩიკში ჩატარებულ ფესტივალში „მეგობრობის ჩირაღდანი“, სადაც დასის ყველა წევრმა ფესტივალის ლაურეატობა და დიპლომები დაიმსახურა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში 2008-2009 წლებში შეიცვალა თეატრში განათებისა და გახმოვანების მოწყობილობები, რამაც უფრო სრულყოფილი გახადა თეატრი და მოგვცა საშუალება უკეთესად წარმოჩენილიყო მაყურებლის წინაშე.

ამ პერიოდში დაიდგა პიესა „ნუ დამდანაშაულებ მე“, რომლის სცენარიც და რეჟისურაც ეკუთვნით ჩვენი თეატრის წარმატებულ მსახიობებს პაატა ქვლივიძეს და მიხეილ ხოკერაშვილს. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად. ვფიქრობთ, აღნიშნული სპექტაკლის აღდგენას, რადგანაც ახალგაზრდების მხრიდან აღნიშნულ სპექტაკლზე დიდი მოთხოვნილებაა.

თეატრის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა რეჟისორის ნიკოლოზ საბაშვილის გამოჩენა, რომელმაც თავისი სტილი და სიახლენი შემოიტანა თეატრის ცხოვრებაში, რაც მაყურებელმა დიდი წარმატებით მიიღო.

ზედიზედ დაიდგა სპექტაკლები „ცხოვრება მშვენიერია“, ოჯახური იდილია“, „გარეჯულა“ და „სისტემა“. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო სპექტაკლი „სისტემა“ რვაჯერ იქნა ნაჩვენები საგარეჯოელებისათვის. აღნიშნული სპექტაკლი ასევე 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს ნაჩვენები იქნება ხარაგაულში, სადაც ხარაგაულის სახალხო თეატრის მიწვევით მივემგზავრებით.

იანვრის ბოლოს დავიწყებთ ახალ სპექტაკლზე მუშაობას, რომელსაც ალბათ მაისი თვეში ვუჩვენებთ მაყურებელს, რადგან მანამდე დარბაზში შესვლა ფიზიკურად შეუძლებელია გათბობის სისტემის უქონლობის გამო.

იმედს ვიტოვებთ, რომ რაიონის გამგეობა და საკრებულო ეცდება მოაგვაროს აღნიშნული პრობლემა, რომელიც თეატრს აწუხებს წლების განმავლობაში.

ჩვენი დასი ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს, რათა ღირსეულად გაარძელოს ის დიდი ტრადიციები, რომელიც საგარეჯოს სახალხო თეატრს გააჩნია.

საგარეჯოს სახალხო თეატრს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა სახალხო თეატრების რესპუბლიკურ ფესტივალებზე, სადაც მნიშვნელოვანი გამარჯვებებისთვის მიუღწევია. დღეს ჩვენი თეატრი წარმატებით აგრძელებს ტრადიციებს, რომლებიც თითქმის საუკუნენახევარიანია. დღეს სცენაზე დგანან და მაყურებელთა მოწონებას იმსახურებენ საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობები: პაატა ქვლივიძე, მიშა ხოკერაშვილი, ნანული ბილანიშვილი, ბადრი დრეიძე, თინათინ მეზვრიშვილი, მარინა შიოშვილი, დარეჯან ლოლაძე, შაკო ივანიაშვილი, ფატი ღვინიაშვილი, ნათელა დიღმელაშვილი, გიორგი ესაიაშვილი, ირაკლი ლიპარტელიანი, რომლებმაც გასული წლის 17 ოქტომბერს თეატრის 140-ე სეზონი სპექტაკლის „სისტემა“ პრემიერით გახსნა, რომლის რეჟისორი ნიკოლოზ საბაშვილია.

## მილოცვა

**შობა-ახალ წელს, „თინაობას“** (12 იანვარს) ვულოცავთ საქართველოს პარლამენტის წევრს, საგარეჯოს მაჟორიტარ დეპუტატს **თინა ხიდაშელს!** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, კვლავაც მისეული პრინციპულობითა და გამჭრიახობით ემოქმედოს საპარლამენტო საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში, კვლავაც უნარიანად და შემართებით მოეგვარებინოს ჩვენი მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული პრობლემები – ინფრასტრუქტურისა თუ განათლების , სპორტისა თუ კულტურის, სოციალურ თუ ჯანდაცვის სფეროებში და არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის!



გვიყვარხართ, გვეიმედებით და გვეამაყებით

*პატივისცემით გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია*

**დაბადების დღეს** ვულოცავთ ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ ჭიდაობის მენეჯერს **ტარიელ როსტომაშვილს**. ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს, დღეგრძელობას და მზეგრძელობას თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.



*ა(ა)იპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანება“*

## წლის „მასწავლებელი“

# ქართველი ჯარისკაცი აფრიკაში

**ქართველი** ბავშვობიდანვე ოცნებობს იარაღის ფლობაზე, სამშობლოს დაცვაზე, მაგრამ გიორგიწმინდელ ომარ კევლიშვილს თუ სამშობლოს ინტერესების დაცვა ავღანეთსა და აფრიკაში მოუწევდა, ამაზე ბავშვობაში ნამდვილად ვერ იოცნებებდა. როცა 2012 წელს ახალი წლის წინა დღეებში სამხედრო-სავალდებულო სამსახური მოიხადა და სახლში დაბრუნდა, ორიოდ დღეში მოენატრა ჯარისკაცის ცხოვრება და როცა კონტრაქტის გაგრძელების შემდეგ ბათუმში ამოყო თავი, „ავღანეთის ხალხს“ სწორედ აქ არჩევდნენ. არც დაფიქრებულა, ისე ჩაეწერა ჯგუფში და წავიდა. თითქმის 2.5 თვე მოუწია იქ ყოფნა. „მეკავშირეს“ არ უწევდა მოსახლეობასთან ურთიერთობა, ამდენად თავი ისე ვერ გამოსცადა, როგორც თვითონ უნდოდა – მინდოდა დასაქმებული ვყოფილიყავი, სანამ კონტრაქტს გავაფორმებდი, მაგრამ იმაზე მეტად ჩემი შესაძლებლობების გამოცდა მინდოდაო,– მეუბნება საუბარში. შემდეგ კი, სულ ახლახანს, იყო აფრიკა – ცენტრალური აფრიკა, ქალაქი ბანგი, სადაც მათთან ერთად 10 000 ფრანგი ჯარისკაცი იყო და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მათ ლეგიონებში ქართველი, კახელებიც იყვნენ. ქართველ ჯარისკაცებს აეროპორტის დაცვა, მოქალაქეთა პირადობის მოწმობების შემოწმება და ქალაქში შესვლაც ევალებოდათ. 6 თვე გაატარეს ქართველმა ჯარისკაცებმა აფრიკაში. როგორც ომარი მეუბნება, ძნელი და მძიმეა აფრიკის კლიმატური პირობები. იქაური სასმელი წყალი საერთოდ გამოუსედეგარია, საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის საერთოდ არ არის, ამიტომ, თითქმის ყველას კანის დაავადება აქვს – დიდსაც და პატარასაც. და რაც საოცარია, იქაურ წვიმას ისეთი მძიმე დაავადება მოჰყვება, როგორიცაა მალარია – ჩვენ ჩვენი მარაგი გვქონდა – ჩვენი „ბორჯომი“ და „სნო“. ძალიან უცნაური იყო ჩვენთვის იქაური მოსახლეობის დამოკიდებულება ჩვენს მიმართ – დიდი ინტერესი და კომუნიკაბელურობა. ისინი სანგოს ენაზე ცდილობდნენ ჩვენთან „გასაუბრებას“, ჩვენ, რა თქმა უნდა,– ქართულ ენაზე.და გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, იქაურ ბავშვებს ქართული ვასწავლეთ...

უნებლიედ მახსენდება სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეო – ზანგი ბავშვები ბრძანებაზე ასრულებენ ვარჯიშს, ბრძანებაზე ქართულად მღერიან „ჩიტო, ჩიტო, ნაცარა“, „გურიაში მივალ, მარა“, „პატარა, ჩემო პატარა გოგონა“ და ითვლიან ათამდე.

– დიახ, კადრს მიღმა მე და ჩემი მეგობრები – თანამებრძოლები ვდგევართ. ჩვენს „ბრძანებებს“ ემორჩილებიან ჩვენი პატარა აფრიკელი მეგობრები. მათთან ურთიერთობით ჩვენ ჩვენი ქართველობა გავაცანით. სიმართლე გითხრათ, მართლა ყველა გაკვირვებული იყო ჩვენი გულთბილობით,– მეუბნება ომარი. დიახ, დღეს ცენტრალურ აფრიკაში, ქალაქ ბანგში, სანგოს ენაზე მოსაუბრე ბავშვებმა ქართული სიმღერები, სიტყვები იციან.

ომარი სულ ახლახანს, საახალწლოდ რამდენიმე დღით დაბრუნდა სახლში, სადაც მშობლები, პაპა, უფროსი ძმები – ხვიჩა და გოჩა, და მისთვის უცნობი, ახლადმოყვანილი რძალი ელოდა. ცოტა უცნაურად ისიც მეჩვენა, რომ ამ სამ ძმას შორის შუალედში თითო-თითო წელია და ზამთრის თვეებში, ერთმანეთის მიყოლებით, დეკემბერში, იანვარში, თებერვალში აღნიშნავენ დაბადების დღეს. და რაც სასაცილო და გასაკვირია – ომარის 4 წელიწადში ერთხელ აქვს ნამდვილი დაბადების დღე – 29 თებერვალი!

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru